185
ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 259
დეკემბრის 3, სამშაბათი 1902 წ.
1877

ივერია

№ 259
დეკემბრის 3, სამშაბათი 1902 წ.
1902

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

კნეინა ნინო დავით წერეთლის ასული ჩოლაყაშვილისა და თ. დავით ჩოლოყაშვილის ასული ელისაბედი გულითადის მწუხარებით აუწყებენ-რა ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებასა პირველი საყვარელის მეუღლისა, ხოლო მეორე ბიძისას

გენერ.-ლეიტ. თ. ბიძინა ოთარის ძის ჩოლაყაშვილისას.

სთხოვენ მობრძანდნენ და დაესწრონ მიცვალებულის გამოსვენებას სახლიდგან (ბებუთოვის ქუჩა, № 50) ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკკლესიაში, სამშაბათს, 3 დეკემბერს დილის 10 საათზედ. პანაშვიდები გარდახდილ იქნება ყოველ დღე დღის პირველ საათზედ და საღამოს შვიდ საათზედ. (2—2)

1-ლ დეკემბრიდგან წლის დამლევამდე გაზეთი «ივერია» ღირს **1** მან. **50** კაპეიკად.

1903 წელს

გაზეთი „ივერია“ გამოვა იმავე სივრცით და პროგრამით, როგორც დღემდე გამოდიოდა,

ფასი გაზეთისა მთელის წლით ისევ თუმანია. ამ ფულის შემოტანა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება.

☞ ვინც ახლავე დაიბარებს გაზეთს მერმისისთვის და ერთს თუმანს წარმოადგენს, ამა ნოემბრისა და დეკემბრის ნომრები მუქთად გაეგზავნება. ☜

ხელის-მოწერა მიიღება:

ტფილისში:—„ივერიის“ რედაქცია (თავად-აზნაურთა ქარვასლა №№ 117 და 118) და ქ. შ. წერა-კითხვ. გამავრც. საზოგ. წიგნის მაღაზია (სასახლის ქუჩა, თავ.-აზნაურ. ქარვასლა).
ქუთაისში:—ბეჟანიშვილის და წერეთლის წიგნის მაღაზიაში, ქუთ. წიგნების გამომც. ამხანაგობის კიოსკში, აგრეთვე სოსიკო მერკვილაძესთან.
ბათუმში: ნიკოლაძის ჟურნალ-გაზეთების სააგენტოში, და ჭელიძის წიგნის მაღაზიაში.
ფოთში: ავქსენტი ისიდორეს ძე ბიბილუასთან.
ბაქოში:—ხიდდეკელის წიგნის მაღაზია (ნიკოლოზის ქ., ქალანთარის ქარვასლის პირდაპირ).
საბუნჩაში. პეტრე მაჭავარიანთან.
შორაპანში:—პართენ ნასიძესთან.
განჯაში:—სოფრონ კანდელაკთან (სადგურზედ).
გორში:— ანტონ კასრაძესთან.

განცხადება პირველ გვერდზედ—10 კაპ. სტრ., მეოთხეზედ—5 კაპ. მთელი გვერდი გვერდი გაზეთისა ცალკე მორიგებით.

12 თვ. 10 მ., 11-თ—9 მ. 50 კ., 10-თ—8 მ. 75 კ., 9-თ—8 მ., 8-თ—7 მ. 25 კ., 6-თ—6 მ. 50 კ., 6-თ—6 მ., 5-თ—5 მ. 50 კ., 4-თ—4 მ. 75 კ., 3-თ—3 მ. 50 კ., 2-თ—2 მ. 75 კ., 1-თ—1 მ. 50 კ.

საფოსტო ადრესი: Тифлисъ, Редакція „Иверія“.

№ 20 ტელეფონი № 617.

სადებიუტო წარმოდგენა

ქართული თეატრი

ხუთშაბათს, 5 დეკემბერს, 1902 წ.

მიხეილ ქორიძის სადებიუტოდ

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის
მიერ წარმოდგენილ იქნება
ორი პიესა

I

ავადმყოფნი

დრამ. 2 მოქ. გ. გაუპტმანისა.

II

პირველად ახალი პიესა

დედის ნებიერი

კომ.-ფარსი 3 მოქ. რუსულ. დ. აწყურელის თარგმ.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი: გაბუნია-ცაგარლისა, ნ. გამყრელიძისა, ალ. კარგარეთელი, ოლ. ლეჟავა, ნ. რიონელი, როსტომიანი, ბ-ნნი: ვ. აბაშიძე, დ. აწყურელი, ვ. გამყრელიძე, გ. გედევანოვი, ვ. გუნია, ი. ივანიძე, კ. მესხი, ს. სვიმონიძე, კ. შათირიშვილი, ქლენტი, მ. ქორიძე და სხვ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია
დასაწყისი საღამოს 8 საათზედ.

მზადდება წარმოსადგენად „ტარტიუფი“ „მეჯლისი იტალიელებითურთ“ (აბაშიძის ბენეფისი), „სიძე-სიმამრი“, „გრიგალი“.

თეატრის გამგეობა უმორჩილესად სთხოვს მაყურებლებს, პიესის მოქმედების დროს ტაშს ნუ დაუკრავენ და ნუ გამოიწვევენ ხოლმე მსახიობთ, რადგან უდროვო-დროს მოქმედების შეწყვეტა პიესას ახდენს და მსახიობთაც აკრძალული აქვთ მოქმედების დასრულებამდე გამოსვლა თავის დასაკრავად.

რეჟისორი **ვალ. გუნია.**

ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობა აცხადებს საყოველთაოდ, რომ კვირას, 15 დეკემბერს, დილის 12 საათზე ქართულ თეატრის ფოიეში დანიშნულია ქართულ **დრამატიულ საზოგადოების წევრთა ჩვეულებრივი საზოგადო კრება**.

განსახილველი საგნები:

1) წარსულის წლის ანგარიში.
2) სავარაუდო ხარჯთ-აღრიცხვა 1902—3 წლისა.
3) მოხსენება არტისტთა ფონდის შესახებ.
4) არჩევანი გამგეობის ერთის წევრისა და რევიზიო კომისიის სამის წევრისა.
5) მოხსენება შესახებ ქართულის წარმოდგენების მართვისა პროვინციებში.
6) მოხსენება შესახებ დრამატიულ კურსების დაარსებისა.
7) მოხსენება შესახებ დასის მთელის წლით შენახვისა.
8) არჩევანი საზოგადოების ახალის წევრებისა.

ქართველ ქალთა ამხანაგობის

სამკერვალოში

მიიღებენ ყოველგვარ ხელსაქმეს: თეთრეულს, ფერადი ძაფით ნაკერებს და **კაბებს** ქალებისას და ბავშვებისას.

ბარონის ქუჩა, № 12.

კბილის ექიმი

ივანე პავლეს ძე

ახალშენიშვილი

იღებს ყოველ დღე კბილის სნეულებით ავადმყოფები დილის 8—10 საათ. და 11—2-მდე, ხოლო საღამოობით 5—7-მდის.

კვირა-უქმე დღეებში 9—2-მდე და საღამოთი 5—7. ელისაბედის ქუჩა (კუკიაში), სახლი № 38. (წლ.)

ქუთაისის

საურთიერთო კრედიტის საზოგადოების გამგეობა პატივისცემით განაცხადებს, რომ ამა წლის 22 დეკემბერს, საღამოს 7 საათზედ, დანიშნულია საგანგებო კრება ამა საზოგადოების წევრთა.

კრებას მოხსენდება:

ანგარიში მართებლობის რევიზიისა, რომელიც მოხდა ამა წლის მარტში, და წინადადება ბ- ფინანსთა მინისტრისა და განმარტება საზოგადოების რჩევისა და გამგეობის ამ ანგარიშის შესახებ. (3—6.—1)

ექიმი

ვ. ღამბაშიძე

იღებს შინაგან და საბავშვო ავათმყოფებს დილის 10—11 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე.

ბინა: ბარონის ქუჩა № 22, დიდი ვანქის ქუჩის კუთხესთან. ტელეფონი 642. (წ.)

ექიმი ალ. მაღალაშვილი

მიხეილის ქუჩა, 30. ტელეფონი № 450

იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და საბავშვო სნეულებით ავადმყოფებს დილის 10—1-დე და საღამოთი 6—8-დ. წლ.

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

ჟ. მ. ჩიქოვანი. 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა, ნერვებისა და შინაგანის ავადმყოფისა.

მ. გ. ავეტისიანცი. 10—11 საათამდე კანისა, ვენერიულ და ხირურგიულ ავადმყოფობისა.

ი. ბაბანასოვი. დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

ძ. ი. ზძელიშვილი. 12—1 საათ. ყელისა, ყურისა და ცხვირის ავადმყოფობანი.

გ. ა. თარხანოვი. 1—1½ საათ. შინაგანისა და ბავშვებისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგიან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

საღამოობით:

ა. ნ. შპაკოვსკი. 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტეპარია) შინაგანისა, ვენერიულ და კანის ავადმყოფობისა.

გ. ა. თარხანოვი. 7—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

ბ. ა. ნავასარდიანი. 7½—8 ს.

ხ. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница д-ра Навасардіана. Тифлисъ, противъ памят. Ворон- (წლ.

ტფილისის კერძო სამკურნალო

გედევანიშვილისა

კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21, ავჭალის ქუჩის დასაწყისში.

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

ვ. ი. ჭიჭინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათამდე, სამშაბათს ხუთშაბათს და შაბათს.

ნ. ტ. მულინი—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულ. 9—10 ს.

ვ. დ. ღამბაშიძე—შინაგანი: 9—10.

გ. გ. მაღალაშვილი—შინაგან. სამშაბათობით ხუთშაბათობით და შაბათობით, 10—11ს.

ქამოევი.—საშარდეს (ხირურგიული) ავადმყოფთათვის: სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით 10 საათიდან 11—მდის.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—11 საათ.

დ. ა. გედევანიშვილი—შინაგან, ნერვებითა და ელექტროტერაპია 12—1 ს.

ა. ზ. ბარსუკოვი—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით, 12—1 საათ.

ვ. მ. მანსვეტოვი—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა—სამშაბათობით და პარასკევობით 1—2 ს., კვირაობით 10—11 ს.

ზრ. ვ. ხოგოლევსკი—დოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 1—3 საათ.

გ. მ. ამბარდანოვი—ათაშანგისა, კანისა და საშარდესი, 1—2 ს.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი, 5—6 საათ.

ა. გ. მაღალაშვილი—შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 სათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.)

მასაჟი და საექიმო გიმნასტიკა: ორშაბათობით ოთხშაბათობით და პარასკეობით 6—8 ს.

რჩევა-დარიგება 50 კ., ოპერაციები მორიგებით, კრაოტები 3 მან. 5 მანეთამდე. (წ.)

ტფილისი

✦ კუშინ-წინ, 1 დეკემბერს ორგან იყო კერძო ბჭობა ტფილისის ხმოსანთა - ქალაქის მოურავის თანამდებობაზედ კანდიდატის დასასახელებლად. ერთს კრებაზედ, ვეტცელის სასტუმროში, 45 კაცი შეიყარა და დაასახელეს ა. მ. არღუთინსკი 29 ხმით, ხოლო კ. მ. ალიხანოვი—16 ხმით. არღუთინსკის კანდიდატურის მხარეზე იყვნენ უმეტესად წევრნი ესრედ-წოდებულის ახალის სომხეთის დასისა. მეორე ბჭობა საღამოს მოხდა კერძო სახლში და 8 კაცმა წინააღმდეგ ოთხისა დაასახელა კანდიდატურა კ. მ. ალიხანოვისა.

✦ რაჭის მომრიგებელი მოსამართლე დობროვოლსკი, როგორც დეპეშით აუწყებენ გაზ. „ნოვ. ობ.“-ეს პეტერბურგიდან დათხოვნილ იქმნა სამსახურიდან.

✦ იმავე გაზეთს სწერენ იქიდანვე, რომ ეკატერინოდარში დაარსდა ცალკე საკონტროლო დაწესებულება, რომელმაც უნდა შეამოწმოს კავკავის რკინის გზის საზოგადოების მოქმედება შავის ზღვის რკინის გზის კეთების საქმეში.

✦ სიამოვნებით ვაუწყებთ ჩვენს მკითხველებს, რომ კვირას, 1 დეკემბერს, როგორც დეპეშით გვატყობინებს ბათუმიდან ჩვენი კორესპონდენტი, იქაურს არჩევნებზედ აურჩევიათ ათი ქართველი. ასეთი ამბავი, უნდა ვიფიქროთ, შედეგია იმ ორის დასის მორიგებისა და მათის მეთაურების მიერ პირადის უთანხმოების უკუგდებისა, რომლის შესახებაც ჩვენს გაზეთში იყო ნათქვამი თავის დროზედ. მივულოცავთ ბათუმის ქართველობას და იქაურ დასთა მეთაურებს ასეთს სამოქალაქო ქველობას.

✦ ქართულ საღამოს პეტერბურგში, როგორც გაზეთები გადმოგვცემენ, კარგად ჩაუვლია. საღამო გაუმართავთ „თავად-აზნაურთა საკრებულოში“. ოთახები მშვენივრად ყოფილა მორთული ყვავილებით, ხვეულებითა და ფარდეულებით. საკონცერტო განყოფილებაში მონაწილეობა მიუღიათ ოპერის არტისტებს, ქ-ნ სარაჯიშვილისას და სხ. ხოროს ა. შიშკინის ლოტბარობით უთქვამს ქართული სიმღერები. საზოგადოება აღტაცებაში მოუყვანია ლეკურს.

✦ ვარშავიდგან გვატყობინებენ, რომ იქ ამ ჟამად სწავლობენ ქართველები: ა) უნივერსიტეტში ალექს. ტურიაშვილი და ვლ. კლდიაშვილი; ბ) სადანტისტო კურსებზე—ნინო რცხილაძე და ბაბალე ტყავაძე; გ) სამეურნეო კურსებზე—კოწია ჩაჩავა. საბეითალო ინსტიტუტი წრეულს დაასრულა ბენედიქტე ლეჟავამ.

✦ გურიიდგან გვაცნობეს, რომ ჯუმათსა და ლანჩხუთში მძვინვარებს ღორის ჭირი. კარგი იქნება საბეითალო მთავრობა ყურადღებას მიაქცევდეს დიდად გაჭირებულს სოფლელებსა.

✦ ღორის ჭირსავე გაუწყვეტია დიდ-ძალი ღორი ქიზიყში.

✦ 7 დეკემბერს პეტერბურგს მიემგზავრება სამსახურის საქმეთა გამო მთავარმართებლის კანცელარიის დირექტორი პოლკ. ვ. ო. ტროფიმოვი.

✦ 30 ნოემბერს, საღამოს პეტერბურგში წავიდა ამიერ კავკასიის რკინის გზის უფროსი ი. კ. ივანოვსკი.

✦ 1 დეკემბრისათვის დანიშნული რუსეთიდგან გადმოსახლებულთა დამხმარებელ საზოგადოების. კრება არ შესდგა წევრთა კანონიერ რიცხვის დაუსწრებლობისა გამო.

✦ 21 დეკემბერს ქალაქის საკრედიტო საზოგადოების სადგომში საჯაროდ გაიყიდება უძრავი მამულები, რომლის პატრონებმაც ხვედრი გადასახადი არ შეიტანეს.

✦ 1 დეკემბერს ღამის 2 საათზე ამიერ კავკასიის რკინის გზით მთავარმართებელი გ. ს. გოლიცინი სამსახურის საქმეთა გამო პეტერბურგში წავიდა.

✦ დღეს, 3 დეკემბრეს, საღამოს რვა საათზე სამეურნეო საზოგადოების სადგომში დანიშნულია კავკასიის სასოფლო სამეურნეო საზოგადოების კრება, რომელმაც უნდა განიხილოს ა) თავ. ლ. გ. ჯანდიერის მოხსენება „წვრილ საკუთრების დაცვის“ შესახებ და ბ) თავ. ვ. ს. მიქელაძის მოხსენება „წვრილ საადგილ-მამულო კრედიტი“-ს შესახებ. გარეშეთაც შეუძლიანთ კრებას დაესწრნენ.

✦ პარასკევს, 6 დეკემბერს, ტფილისის საეპარქიო დედათა სასწავლებელში უფროსი კლასის მოწაფეების მონაწილეობით გაიმართება სალიტერატურო და სამუსიკო საღამო, რომელსაც სასწავლებლის მთავრობაც დაესწრება. დასასრულ გამართული იქნება ცხოველი სურათები.

✦ ქალაქის ღამის თავშესაფართა გამგე კომისიამ თავის უკანასკნელ კრებაზე გადაწყვიტა 150 მანეთი გადასდოს თავშესაფარში მყოფთათვის ჩაისა, შაქრისა და პურის სასყიდლად.

✦ 6 დეკემბერს ამიერ კავკასიის რკინის გზის სახელოსნოებთან აკურთხებენ სასადილოს ხელოსანთათვის. სასადილოსათვის ხორცს, როგორც განზრახვა აქვთ, ქალაქის ხორცის დუქნებიდგან წაიღებენ.

✦ ტფილისის გუბერნატორმა დამტკიცა ღორის ხორცზე ნიხრი. გირვანქა ეღირება 1 ხარისხისა—11 კაპ., მეორესი—10 კ., მესამესი—8 კაპ.

✦ როგორც ტფილისის ხელოსანთა მოურავსატყობინებენ, ტფილისის გუბერნიის ქალაქის საქმეთა საკრებულოს დაუდგენია, რომ ხელოსანთა მოურავად ნამყოფ სეროპიანცს და ამქრების მამასახლისებს, რიცხვით 49 კაცს, გამოეცხადოს სასტიკი საყვედური ზოგიერთ საქმეში უყურადღებობისათვის და დაევალოთ საქმის გამოკეთება და უფრო წესიერად წარმოება.

✦ ქალაქის გამგეობას განზრახვა აქვს სკოლებისათვის ააგოს საკუთარი შენობანი: ამ ჟამად ქალაქს სკოლების შენობათა დასაქირავებლათ იმოდენა ფული ეხარჯება, რომ ათი-თხუთმეტის წლის განმავლობაში ქალაქს შეუძლიან გარდაიხადოს ყოველივე ხარჯი, რაც შენობების აგებაზედ მოუნდება.

✦ ქალაქის სახელოსნო სკოლის საბჭომ უკანასკნელ კრებაზედ დაადგინა, რომ სახელოსნო სკოლის უკანასკნელი კურსის შეგირდები გაიგზავნებოდნენ ხოლმე ავჭალაში ქალაქის წყლის მანქანებზედ, სადაც შეეძლებათ პრაქტიკულად მანქანების მუშაობის შესწავლა.

✦ იმ კომისიას, რომელსაც დავალებული აქვს მოაწესრიგოს პურისა და საზოგადოთ ხორბლეულობის ვაჭრობა, გარდაუწყვეტია კავკასიაში დააარსოს სამეურნეო სასტატისტიკო ბიურო, სადაც იკრიბებოდეს მოსავლისა და ხორბლეულობის ვაჭრობის რაოდენობა.

✦ ქალაქის თავშესაფარების მეთვალყურე კომისიას გარდაუწყვეტია გაჰმართოს ხელის მოწერა და ამ შემოსავლიდან მომავალ შობის უქმეებში გაუმართოს სადღესასწაულო სადილი თავშესაფართა ღარიბებს.

✦ ახლო მომავალში ქალაქის საბჭო სახაზინო პალატის მოწერილობით ამოარჩევს სახაზინო პალატაში თავის წარმომადგენლებს, რომელთაც მონაწილეობა უნდა მიიღონ სახელმწიფო გარდასახადთა ხარჯის გაწერაში.

✦ 30 ნოემბერს ტფილისის კრუჟოკში

შესდგა კავკასიის საუცხოვო ხელოვნებათა დამხმარებელ საზოგადოების ბალი; დარბაზები მშვენივრად იყო მორთული მხატვარ ბ-ნ ზალცმანის მიერ საგანგებოდ ამ საღამოსათვის დამზადებულ დეკორაციებით; დარბაზებშივე გამოფენილი იყო ტატევოსიანცისა და გრინევსკის მიერ დახატული დეკორაციები, რომლებზედაც აკრული იყო „ღმრთებისა" და „მონას სიმღერის" სურათები, ცხოველს სურათებს აჩვენებდა მხატვარი ციონგლინსკი; ამ საღამოსვე დაურიგდა პრემიებათ ბ-ნთ გაბაშვილისა, შმერლინგისა და სხვა მხატვართა ნახატები საგანგებო ტანისამოს ჩაცმულთ; პირველ პრემიათ მიესაჯა,—თამარის ტანისამოსს,—შმერლინგის სურათი, მეორე პრემიად—იაპონურ ტანისამოსს—გაბაშვილის სურათი და სხვა. საღამოს დიასახლისად ბრძანდებოდა საზოგადოების პრეზიდენტის მეუღლე ქ-ნი ალიხანოვ-ავარსკისა; ბალს დიდძალი ხალხი დაესწრო. ცეკვამ დილის ხუთ საათამდის გასტანა. ბალი დამთავრდა საამხანაგო ვახშმით.

◆ ჩვენ გვთხოვენ დავბეჭდოთ შემდეგი ანგარიში ქართულ სათავად-აზნაურო თეატრში მომავალ დედათა სასწავლებლის სასარგებლოდ გამართულ საოპერო წარმოდგენისა 8 ნოემბერს: ბილეთები გაიყიდა 1137 მან. 65 კ. პრემია მიღებულ იქმნა 436 მ. 50 კ., აქედგან 200 მანეთი მის ბრწყინვალების თავ. გ. ს. და კნ. მ. თ. გოლიცინისაგან. გენ. ლეიტ. ა. ა. ფრეზე—5 მ., ი. ნ. სვეჩინი—10 მ., კნეინა ნ. ა. ხერხეულიძისა—75 მ., თავ. ზ. გრ. ერისთავი—75 მ., თავ. კ. ი. ბაგრატიონ-მუხრანსკი—15 მ., კნ. ბ. გ. ბარათაშვილისა—2 მ., კნ. ნ. მ. ქობულაშვილი—3 მ., კ. ტ. გარფუნდოშევი—8 მ., ს. გ. მირზოევი—7 მ. 50 კ., თ. ნ. რ. ერისთავი—5 მ., ა. ი. მანთაშევი—7 მ. 50 კ., გ. როხლინი—4 მ., ლაზაროვი—5 მ. და ვ. მ. თამამშევი—2 მ. სულ შემოვიდა 1574 მ. და 15 კ. დაიხარჯა: თეატრი—396 მ., ტანისამოსის შესანახი—77 მ. 85 კ., მარკებისა—46 მ. 90 კ. და ყვავილებიანი კალათები—25 მ., სულ 545 მ. 75 კ., დარჩა 1028 მ. 40 კ., რომელიც გადაეცა საზოგადოების ხაზინადარს კ. ებ. მიხ. ასულს ერისთავისას. თავმჯდომარე თავადაზნაურთა შეუძლებელ მოსწავლეთა დამხმარებელ საზოგადოების დედათა განყოფილებისა დიდს მადლობას სწირავს ყველა იმათ, ვინც დაეხმარა ამ საქმეს შეწირულობით და ვინც დაესწრო 8 ნოემბერს წარმოდგენას.

◆ გუშინ დილას, ქალაქის ღამის თავ-შესაფარში (ხარფუხში) უნახავთ დამხრჩვალი რუსი, 50 წლისა, სალდათად ნამსახური, რომელიც სხვა პირთა შორის ღამის გასათევად მისულიყო. ზოგის აზრით განსვენებული სხვებისაგან არის დამხრჩვალი, ზოგნი-კი ფიქრობენ—თითონ უნდა დაეხრჩოს თავიო. სინამდვილე ჯერ არ არის გამორკვეული.

—

შეცდომის გასწორება.

„ივერიის" მე-254 ნომერში დაიბეჭდა, სხვათა შორის, წერილი: «ქართველთა რიცხვი ასის წლის წინად". ამ წერილის ბოლოს დაბეჭდილია შეცდომით, ვითომ ახალციხის საფაშოში 1795—1829 წლამდე ქართველთა რიცხვი (მაჰმადიანნი და ქრისტიანნი) ათი ათასამდე იყო; უნდა იყოს: ასი (100) ათასი.

—

სამეურნეო საზოგადოების კრება.

ბ-ნ ალ. ქალანთარმა მიაქცია საზოგადოების ყურადღება იმ გარემოებას, რომ მართლაც, თანახმად რეფერენტის მოხსენებისა, აწინდელი საბეითალო მეცნიერების მიერ შემუშავებული ზომები საქონლის ჭირის წინააღმდეგ ბევრად საზარალოა მკვიდრთათვის და საჭიროა სხვა ზომების მიღებაო. ეს მით უფრო შესაძლოა, რომ ამ ჟამად მეცნიერებამ უფრო სახელდახელო ზომა გამოიგონა ჭირის წინააღმდეგ, სახელდობრ საქონლის იმმუნიზაცია, ერთგვარი გამაკურნებელი შრატის შეშხაპუნება საქონლის სხეულში. მართალია, ესეთი წამლობა მეტად ძვირია, მაგრამ, თუ უამისობაც მოუხერხებელია, მკვიდრთათვის საზარალოა, უთუოდ ამ საშუალებას უნდა მივმართოთ, სიძვირეს არ უნდა შევუშინდეთ. ამ საშუალებით თითო საქონლის წამლობა ჯდება 5—7 მანეთად. რასაკვირველია, ამ ხარჯის გაღება მეტად ძნელია, მაგრამ საჭიროა, რომ სახალმწიფო ჩაერიოს საქმეში და ყოველივე ამ აზრით გადადებული თანხა ამ საშუალებას უნდა მოახმაროს. დანარჩენი მოსაზრებანი რეფერენტისა მომთაბარეთა მდგომარეობის შესახებ საფუძვლიანია და საჭიროა მართლაც ეს საქმე მეტის ყურადღებით იქმნეს შემუშავებული, სათანადო კანონები და წესები შეიცვალოს დასახელებულ მომთაბარეთ საკეთილდღეოდ. გზების მოწესრიგების საქმეს მომთაბარეთათვის განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცესო.

ბ-ნ დ. ქადაგიძემ შენიშნა, რომ გზების შესახებ კითხვა მწყემსებისათვის შეადგენს საჭირ-ბოროტო მოვლენას. თუმცა ბ-ნ ქალანთარმა წარმოსთქვა ის აზრი, ვითომ სახელმწიფო კანონმდებლობა ამ გზების შესახებ ბევრს იძლევა, ჩვენ ცხოვრებაში ამით კანონმა ერთი ნაბიჯი წინ წადგა, მაგრამ ჩვენ სულ სხვა გვგონია კანონი დარჩა ქაღალდზე, და ცხოვრებაზე გავლენა ვერ იქონია: გზების საქმე ისევ ისე დარჩა, როგორც იყო წინეთ. მწყემსებს უგზოობის გამო დიდი დავიდარაბა აქვთ ხოლმე მემამულეებთან, სოფლელებთან და ხაზინასთან. ზამთრის და ზაფხულის საძოვრების საქმე მკაფიოდ არ არის გამორკვეული კანონებში. ზამთრის საძოვრების შესახებ არსებობს 1884 წ. კანონი, რომელიც თხოულობს: თუ მთელ მხარეს დასჭირდა ამ საძოვრების განაწილება, უნდა ხელახლად დაიყოს სხვა-და-სხვა კუთხეების მოთხოვნილების დაგვარად. ამ კანონით—თუმცა არა სამართლიანათ,—ისარგებლა მთავრობამ და მთელ ორ მაზრას (თიანეთისას და დუშეთისას) მოაგლიჯა ივრის პირას 5 ათასი დესეტინა, რომელზედაც ირეკება ყოველ ზამთარს არა ნაკლებ 30—37 ათასი ცხვარი. დღეს თუმცა ისევ თუშ-ფშაველების ხელშია ეს ადგილი, მაგრამ რა ბოლო მიეცემა ამ საქმეს,—ეს ჯერ ისევ კითხვაა... საზაფხულო ზოგი-ერთა საძოვრებიც ვიწრო პირობებშია დაყენებული. მთავრობა ყოველ წელიწადს საჯარო ვაჭრობას ახდენს ამ გვარ საძოვრებზე. აქ გამოიხატება მთავრობის წარმოდგენების ტენდენცია: ყოველ წელიწადს მოუმატონ ხოლმე ფასები. ამ გვარ ვაჭრობის გამო საძოვრები ჩაუვარდება ხოლმე იმ პირთ, რომლებსაც არავითარი საქმე არა აქვს მწყემსობასთან. ეს უკანასკნელები ჰყიდიან მეტად ძვირად ნამდვილ მწყემსებზე. მე მოგახსენებთ ლეკის (დიდოთ) საძოვრების შესახებ. ამ მთებს აქამდის თუმცა ავაჭრებდნენ მ ურველთ, მაგრამ დღეს ერთს ფასზე დააყენეს საქმე და აწევ-დაწევას აღარ ჩადიან. მაგრამ ამით საქმე მაინც არ გაკეთდა. საძოვრები ჩაჰბარდა მთების საძოვრების მცველებს, ესენი ღებულობენ საიჯარო ფულებს. ესენი არ-ან ნამდვილნი პატრონნი ამ მთებისა; ამიტომ თუ ესენი არ დაიქრთამა, ვერც საძოვარს აიღებს საქონლის პატრონი. ამისათვის ვინც მეტს მისცემს, მთაც იმას რჩება...

კარანტინის საქმეც ვერაა დაყენებული რიგიანად. მე ვფიქრობ, რომ ამ შემთხვევაში ცხვარს უნდა მიეცეს შეღავათი. ჯერ ამიტომ, რომ აქამდის არ აღმოუჩენიათ ამ პირუტყვებში გადამდები სენი, რის გამოც საქონლის მგზავრობა მთისკენ ან ბარისკენ დეებრკოლებინა მთავრობას. მიუხედავად ამისა, ცხვარმა უნდა გადიხადოს კარანტინის ვადა—9 დღე. ამით სარგებლობს ყველა და მეტათ ძვირად ჰყიდიან თავის ალაგებს მეცხვარეებზე. ამის გამო სულ უსარგებლო ხარჯი ეძლევათ საქონლის პატრონებს. მეორე ამ 9 დღის განმავლობაში საქონელი სუსტდება უბალახობის გამო, მეტადრე ბატკნობა და ჯანდაკი ცხვარი. ამ გარემოების გამო მთას წესიერათ ვერ გადადის და ბევრი რჩება გზაში და იღუპება.

ყველა ამათ გამო ვაქცევ თქვენ ყურადღებას ამ მოვლენებზე, იქნება ამ საზოგადოებამ რაიმე საშველი აღმოუჩინოს მეტად შევიწროებულ მწყემსებს. მცირე კამათის შემდეგ ბ-ნ ჟუკის მოხსენება საზოგადოებამ გარდასცა კომისიას, რომელმაც თავისი მოსაზრება უნდა წარუდგინოს საზოგადოებას არა უგვიანეს ერთის თვისა. კომისიაში არჩეულ იქმნენ: ა. ქალანთარი, ნ. ტარატისოვი, ბ-ნი ჟუკი, თ-დი ლ. ჯანდიერი, კ. ყავრიშვილი, დ. ქადაგიძე და ბეითალი კანცელმახერი.

(დასასრული იქნება)

—

ქალაქის ხელოსანთა წარმომადგენლების კრება. კვირას, 1 დეკემბერს, როგორც მკითხველებმა უწყიან, ქალაქის საბჭოს დარბაზში დანიშნული იყო ხელოსანთა უსტაბაშების კრება. როგორც ხელოსანთა მოურავის ოქმიდან სჩანს, ამ დღეს ხელოსანთა დეპუტატებს უნდა განეხილათ შემდეგი საქმეები: მოურავის აზრით და მისივე პროექტით, ყველა ის ფული, რაც-კი სახელოსნო მმართველობას ამ ჟამად შემოსდის, უნდა მოხმარდეს ხელოსანთა გაჭირვებულ მდგომარეობის გაუმჯობესობას; ეს გაჭირვებული მდგომარეობა-კი აი რა არის: 1) ხელოსანთ ამ ფულით უნდა შეიძინონ საკუთარი შენობა ხელოსანთა სამმართველოსათვის; 2) ამ შემოსავლის ნაწილით უნდა დაარსდეს ან საავადმყო, ან უძლურთათვის თავშესაფარი; 3) მცირე ნაწილი ამ შემოსავლისა უნდა მოხმარდეს ხელოსანთა შვილებს, რომელთა აღზრდაც და პატრონობაც უნდა იკისროს თვით ხელოსანთა მმართველობა; 4) დასახელებულ იქმნას ყველა წყარო, საიდგანაც ხელოსანთა მმართველობას შემოსავალი ექნება და ყველა ამ შემოსავლისათვის დაარსდეს ცალ-ცალკე საანგარიშო დავთარი, რომელშიაც აღინიშნებოდეს შემოსავლის რაოდენობა; 5) ამოირჩეს კომისია 20 კაცისაგან, რომელსაც დაევალოს თვალყური ადევნოს უსტაბაშების მიერ წარმოდგენილ ანგარიშსა; მასვე მიეცეს ნება ამქრის უსტაბაშის რევიზიისა, ნამდვილათ სწორედ წარმოადგინა ხელოსანთა, ოსტატთა, ოსტატის თანაშემწეთა და შეგირდთა რაოდენობის რიცხვი, თუ არა; ეს ოცი კაცი გაიყოს, ქალაქის ათ საბოქაულოს მიხედვით, ათ ჯგუფად და მათ ევალებოდეთ თვალ ყური ადევნონ უსტაბაშთა მოქმედებას; 6) ამოირჩეს 12 კაცი რომელთაც დეევალოს, დაათვალიერონ ხელოსანთა მოურავის მიერ აღნიშნული მამული, ბ-ნ შანშიევისა და მიენდოთ, მოურავის მონაწილეობით, გარდაწყვეტა, შევიძინოთ ეს მამული ხელოსანთა სამმართველოს ასაშენებლად, თუ არა; 7) ამავე კრებაზედ უნდა წაკითხულიყო სია ხელოსანთა, ოსტატთა და ქარგალთა რაოდენობისა და, თუ ამქართა უსტაბაშები დაინახავდნენ საჭიროდ, შევსებულიყო; 8) კრებასვე უნდა განეხილა მოურავის მიერ შემუშავებული პროექტი გარდასახადისა; ამა პროექტის ძალით ყველა მექარხნე ხელოსანთა საერთო საჭიროების დასაკმაყოფილებლად იხდის წელიწადში 10 მან. ოსტატი—1 მ. ქარგალი 50 კაპ.; 9) კრებასვე წაუკითხა მოურავმა გუბერნატორთან გასაგზავნი ქაღალდი, რომლითაც იგი სთხოვდა ებრძანებინა სერობიანცისათვის წარმოედგინა მის მიერ უკანონოდ დახარჯული ფული; 10) კრებასვე უნდა განეხილა მოურავის განსაჩივრების ქაღალდი გუბერნატორთან, შესახებ იმ 238 მან. 20 კაპ., რომელიც სერობიანცმა შეჰკრიბა ხელოსანთა შორის, ახალციხეში პუშკინის ძეგლის დასადგმელად; კრებას მოჰხსენდა ბ-ნ გროსსის წინადადება, რომელიც უკვე გვქონდა მოხსენებული კვირის ნომერში; ამ წინადადების მოხსენების შემდეგ, თვითბ-ნი გროსსი წამოდგა და განუმარტა კრებას: ჩემის აზრით, ჩვენ შეუძლებელ ხელოსანთ ამისთანა ნება-ყოფლობით, და ძალა დაუტანებელი გარდასახადი დიდ სარგებლობას მოუტანს. ამ ფულით შეგვიძლიან ექიმები ვიყოლიოთ: ვთქვათ, რომელიმე ხელოსანი გახდა ავად და არ აქვს შეძლება. შეგვიძლიან ექიმიც მოვუყვანოთ და წამალიც მივცეთ, რადგანაც მონაწილე იქნება ამ თანხისა. ამასთანავე ავადმყოფობისა გამო, რომელსამე ხელოსანს არ ძალუძს მუშაობა, შეგვიძლიან ამ თანხიდგან 50—60—70 კაპ. დაენიშნოს მის სახლობას დღეში და მათ გაჭირებისა და შიმშილისაგან მისი ცოლ-შვილი დავიხსნათ. გროსსმა განაცხადა, რომ, მე უკვე მაქვს გამოწერილი საზღვარგარეთიდგან ექვსი სხვა-და-სხვა ამქართა წესდება; ამ წესდებათა განსახილველად შეიძლება ამოვირჩიოთ კომისია, მოვიწვიოთ კიდევ ნასწავლი იურისტები, პოლიცმეისტერი და შევეკითხოთ გუბერნატორსაც, რომ დარიგება და დახმარება აღმოგვიჩინოსო. ბ-ნ გროსსის მიერ წარმოდგენილი პროექტი ყველამ მოიწონა და ერთ ხმად გარდასჭრეს, შემდეგ კრებისათვის ამ საგნის შესახებ, დაწვრილებული ცნობანი წარედგინათ. გარდასწყვიტეს ამ საგანზედვე დაწვრილებითი განმარტება აღებეჭდონ ქართულსა, რუსულსა, სომხურსა და თათრულს ენაზედ და დაურიგონ ხელოსნებს.

ბევრმა ითხოვა, „გადაგვითარგმნეთ გროსსის ნალაპარაკევიო. მაგრამ, ხელოსანთა ზოგიერთა უსტაბაშებმა უკვე დაიწყეს გასვლა დარბაზიდგან და კრებაც დაიშალა ნაშუადღევის 2 საათზედ. შემდეგი კრება დანიშნულია მომავალ კვირას.

—

სალიტერატურო და—სამუსიკო საღამო ტფილისის სასულიერო სემინარიაში.

1-ლს დეკემბრის წმ. ანდრიას პირველ წოდებულის დღესასწაულის პატივსაცემლად, ტფილისის სასულიერო სემინარიაში გამართულ იქმნა მთავრობის ნებართვით სალიტერატურო და სამუსიკო საღამო, რომელსაც დაესწრნენ მაღალყოვლად უსამღვდელოესი ალექსი, საქართველოს ეგზარხოსი, წარმომადგენელნი ტფილისის სამღვდელოებისა, ტფილისის საეპარქიო დედათა სასწავლებლის მეექვსე კლასის მოსწავლენი—ამ სასწავლებლისავე უფროსთა მეთაურობით და მრავალი კერძო საზოგადოება. დარბაზი, რომელშიაც გამართულ იქმნა საღამო, სემინარიის აწინდელის რექტორის არქიმანდრიტის ნიკანდრის მზრუნველობით საუცხოვოთ მოწყობილია; სხვათა შორის აქ საპატიო ადგილი უჭირავს ყოვლად სამღვდელოთა გაბრიელის, ალექსანდრეს და რუსთველის სურათებს... საღამოზე მოწაფეებმა სთქვეს სიმღერები, იგალობეს და რჩეული ლექსები წაიკითხეს რუსულად და ქართულად. რუსულმა ნაწილმა საღამოსამ მშვენივრად ჩაიარა: მოწაფენი რუსულად კარგად ჰკითხულობდნენ ლექსებს, ჰგალობდნენ და სიმღერებს ამბობდნენ; არ ემჩნეოდათ საზოგადოდ უჩინდებური მორცხვობა, სიმკრთალე; გაბედულად იქცეოდნენ და თამამად.

დიდი აღმზრდელი მნიშვნელობა ისეთის საღამოებისა აწინდელს სემინარიის მთავრობას კარგად აქვს შეგნებული და ამის გამო ხელს უწყობს მოწაფეებს მუდამ გამართონ ხოლმე საღამოები და არავითარს ხარჯს არ ერიდება... მოწაფეთა ესტეტიურის განვითარების გასაძლიერებლად ხსენებულმა მთავრობამ წელს მუსიკის (სკრიპკის) სწავლებაც შემოიღო და ამით დაამტკიცა ის აზრი, რომ ვიწროდ და ცალმხრივად არ ესმის სწავლა-აღზრდის საქმე.

საღამოს ქართული ნაწილი საუცხოვო იყო და დიდად ასიამოვნა მსმენელნი. ქართულად წაიკითხეს მოწაფეებმა შემდეგი ლექსები: ა) „ყველა ძმები ვართ"—თარგმანი ი. ჩ—სა—მეორე კლასის მოწაფემ გიორგი კანდელაკმა, ბ) „საღამო" აკაკისა—პირველი კლასის მოწაფემ გელოვანმა; გ) „მერანი"—ნ. ბარათაშვილისა—მეექვსე კლასის მოწაფემ ვლად. მხეიძემ; დ) „იუდა"—ნადსონისა, თარგ. ილ. ფერაძისა; ე) „ცნობის მოყვარე", არაკი კრილოვისა—თარგმანი რ. ერისთავისა—სამაგალითო სკოლის I მოწაფეებმა. სიმღერა სთქვა მომღერალთა კრებამ ბ-ნ დონტის დირიჟორობით: ა) „მიყვარს ფაცხა...", ბ) „შევსვათ" მუს. რატილისა, გ) „გლეხის პატარა ბიჭი ვარ"—სამაგალითო სკოლის მოწაფეებმა; დ) „ვუმზერ დიდ სახეს"; ე) „ყველასათვის კარგი მსურს"—აკაკის სიტყვები... საზოგადოდ საღამომ დაატკბო მსმენელნი; თვით მოწაფეთაც ბევრი რამ შესძინა და მსმენელნიც ასიამოვნა. საღამოს გათავების შემდეგ შეკრებილი საზოგადოება და მოწაფენი ტფილისის საეპარქიო დედათა სასწავლებლის მეექვსე კლასისა მიწვეულ იქმნენ ჩაის და ხილის შესაქცევად. დამსწრე საზოგადოება ღამის 11-ს საათზე დაიშალა. მაღალ-ყოვლად-უსამღვდელოესმა ეგზარხოსმა დიდი მადლობა გამოუცხადა სემინარიის მთავრობას და მოწაფეებს საღამოს გამართვისათვის.

ვისურვებთ, რომ ასეთი საღამოები ხშირად იმართებოდეს ტფილისის სასულიერო სემინარიაში: ასეთი გასართობი შეუწყობს ხელს მოწაფეების ყოველ მხრივ განვითარებას და შეაჩვევს მათ სამოქალაქო სითამამეს, გამბედაობას, რიგიანად თა-

---

ფელეტონი

ქართველი ქალი.

ქართველი ქალი.—დიდებული ქართველების დედები.—მასწავლებელი-ქალი.—საოსტატო.—დიასახლისობა.—მისი ნაშთი.—სიზარმაცე და სიბინძურე.—მზითევი და ქრთამი და მისი მნიშვნელობა.—გადაგვარებული დიასახლისი.—ხიდის გამდებელი ვინ იყო.—როგორი შეიქმნა ქალი.—ენას აჭრელებენ.—უვიცს და უმაქნისს ვინ წაიყვანს—დროს და დაუდევრობის ბრალია.

ძველად ქართველი ქალი დედაც იყო, დიასახლისიც და მასწავლებელიც. ქმარი მხედრობდა, ლაშქრობდა, ომობდა სარწმუნოებისა და მამულის დასაცველად. ცოლი შრომობდა შინ, უვლიდა სახლს, კარმიდამოს და, თუ საჭირო შეიქმნებოდა, ხმალსა და ხანჯალსაც ირტყამდა და, ქმრის შინ არ ყოფნის დროს, ავაზაკად და საძარცვავად მოსულს ავკაცს, მტერს გმირულად უხვდებოდა, არ აკლებინებდა სახლ-კარს. საქართველოს ისტორიას გმირი ქალების სახელიც დაუხსოვნია. ამ გვარი გმირი ქალები არ აკლდა სოფელს. იგინი იბადებოდნენ გლეხის სახლშიაც, კეთილშობილთა დარბაზშიაც და მეფეთა სასახლეშიაც.

სანდუხტმა აღზარდა ვახტანგ გორგასლანი, მარიამმა—ბაგრატ IV, რუსუდანმა—თამარ მეფე, ნათელამ—გიორგი ბრწყინვალე, თამარმა—ერეკლე მეორე, თეკლემ—გიორგი მთაწმინდელი... თვით ამირან-გმირის სული ჩამდგმელი, გადმოცემით, იყო გმირივე ქალი დარეჯანი.

სოფელი არ კმაყოფილდებოდა მარტო მით, რომ დედა ზრდიდა და ასწავლიდა თავისს შვილებს, მას ჰყავნდა აგრეთვე სასოფლო ოსტატი-ქალი. მასთან იკრიბებოდნენ სოფლის ბავშვები. იგი ასწავლიდა მათ წერა-კითხვას, აკითხებდა დავითნს, სახარებას, წირვის წესებს, ვეფხის-ტყაოსანს, აგალობებდა, წეს-ჩვეულებას უხსნიდა, უნერგავდა გულში კაცთმოყვარეობას, სიგმირეს ზრდილობიანს ლაპარაკს. და ყველა ამ შრომისათვის სწავლების დროს იღებდა ზოგისაგან ხელადა ღვინოს, ზოგისაგან გამომცხვარს პურს, ზოგისაგან ლობიოს, ბრინჯს, ხილს და სხ., ეს იყო და ეს მისი საოსტატო და გასამრჯელო და აგრეთვე ღრმა პატივისცემა სოფლისა, ხეობისა. ზოგი ასეთი ოსტატი—ქალი ფრიად განთქმულ იყო და დიდი ზნეობრივი გავლენა ჰქონდა გარეშემო მცხოვრებ მკვიდრთა შორის.

ერთის სიტყვით, სახლი ებარა დედაკაცს, იგი აქ დიასახლისობდა. ოდნავი მსგავსება ამ გვარ დიასახლისობისა დღესაც დაშთენილია საქართველოს განაპირა კუთხეებში—ფშავხევსურეთს, მთიულეთს, იმერეთის ზოგიერთ ყურეში, საინგილოს და სხ.

ამ გვარს ადგილებში დიასახლისი, მრავალ წვრიმალ საოჯახო საქმეებს გარდა, სწველს, ადღვებავს, სთესავს და უვლის ბოსტნეულს, მოჰყავს აბრეშუმი, ჰქსოვს შალს საჩოხე საშარვლედ და აგრეთვე ჯეჯიმებს, ხურჯინებს, ბგებს, უვლის ფრთოსანს, ჰმარგლის, რწყავს ბაღ-ვენახს, ეზოს, ჰკვრავს, აცხობს და სხ.

ბარში ამავეს ჩვენ ხშირად ვეღარ ვხედავთ აქ ძველინდელი ყაიდის დიასახლისობა ამოვარდნილა. ძველი დიასახლისი გადაგვარებულა, გადაშენებულა.

აქაური დიასახლისი, ისიც არა თუ კეთილშობილთა ოჯახისა, თვით გლეხისაც, ზოგან (იხ. ბ-ნ მ—ლის აღწერა ტფილისის მაზრისა) ისე დაძაბუნებულა, ისე დამახინჯებულა, რომ, თურმე, ცომის მოსაზელად წყალზედ აღარ კადრულობს წასვლას და ვიდრე ქმარი არ მოუტანს წყალს, ცომს ვერ ზელავს და პურს ვერ აცხობს!

ჩვენ გვინახავს ქართლის ზოგი სოფლები. სახლები ერთმანეთზე მიყრილია და მიწაში ჩახრილი, კარ-მიდამოზედ საშინელი სიბინძურეა. სახლში შრომისა და სიმყრალის სუნი ტრიალებს. წივილისა, კივილისა და ყაყანისაგან ყურთა-სმენა არ არის. ქათამი, ძაღლი, ღორი, ხარი... ირევიან ერთ ბეწო ბუდრუგანაში. კარის პირზე არა დგას არც ერთი საჩრდილობელი ხე, მთელს სოფლის არემარეზედაც, ხშირად, თვალს ვერ მოჰკრავთ ამგვარს ხეს.

ყმაწვილები ტიტლიკანა, დაუბანელი, დიასახლისი წვირიანი, ჰუჭყიანი. ყველანი და ყოველნი დაგლეჯილი, მოუვლელი...

ამისთანა დიასახლისის გამოზრდილს ვიღ წაიყვანს მეუღლედ და ვისთვის რა მაქნისია.

სულ სხვაა იქ, საცა ქალი ისევ დიასახლისობს, ისევ ირჯება, შრომობს დაუღალავად. ინგილო პატარძალში დიდ-ძალ ფულს ხარჯავს (იხ. ივერიაში ბ. ფ—ძეს წერილი). აქ ქალის მამა-კი არ ათხოვებს შვილს მზითვით, ქრთამით, არამედ თვით ვაჟის მამა რძალს უმზადებს მზითევს, სამკაულს და მის მშობელს ქრთამად უგზავნის 100—200 და ხან 400—500 მანეთსაც. რად? იმიტომ, რომ ვაჟის მამა პატარძლის მოყვანით იძენს მუშა ხელს, იძენს საიმედო დიასახლისს თავის ვაჟისათვის, თავის კერიისათვის.

ეს ჩვეულება ინგილოებს თათრებისაგან არ მიუთვისებიათ, არამედ დაუცავთ ვითარცა ნაშთი ძველი დროის დიასახლისობისა. ეს წესი უწინ ჩვეულებად ჰქონია მთელს ჩვენს ერს, ყველა ქართლოსიანთ.

ედ. გიბბონი გვარწმუნებს, **ქართველებს ნაციონალური წესი ასეთი ჰქონდათო ძველადგანვე, რომ ქალის მამას სიძისაგან ეძლეოდა ქრთამი და არა ქალის მამა აძლევდა ქრთამსა და მზითევსაო** და ამიტომ ძლიერ გაიკვირვეს კონსტანტინე იმპერატორის (+1453 წ.) ელჩებმა, როდესაც თავის მეფისათვის საცოლეს დასანიშნავად მოვიდნენ საქართველოში და ჩვენმა მეფემ თავის ასულს აღუთქვა ქრთამად 56,000 დუკატი და ყოველ წლიურ ჯამაგირად 5000 დუკატი.

ამიტომ არის, რომ საცა ქალი ისევ დიასახლისობს, იქ იგი არა თუ არ „მჟავდება", არამედ 14—15 წლისა რომ შეიქმნება, მრავალი ტარიელი უჩნდება და ეს ტარიელები, ხშირად, ერთმანეთის თავპირს ამტვრევენ ჯერ ისევ მცირე წლოვან „სადიასახლისოს" გულისათვის და იქ-კი, საცა დიასახლისობა გადავარებულია, ქალი ქრთამითაც ხშირად ვეღარ თხოვდება.

ან და ვის ეპრიანება ესეთი ცოლი და ესეთი დიასახლისი, როგორიც ამ სახალხო ლექსშია გამოხატული:

ჩემი ძმა მეხვეწებოდა—
უნდა შეირთო ცოლიაო
იმან რომ ცოლი მომგვარა,
ყვითელი კომშის ფერია.
ორი სარტყელი ვუყიდე,
მესამე ჭია-ფერია;
სამივ ერთურთს გადავაბი,
ძლივს დაუჭირა წელია.
იმ ხანებში მოვიყვანე,
რომ იყო ყველიერია,
ერთი ქილა ერბო მქონდა,
ყვითელი კომშის ფერია,
სამ დღეზე ისე შეჭამა,
ძირზედ მოუსვა ხელია!
მეზობლებში დაეკვეხა—
ნიგოზსაც მივაგენია...
ორი რძალი გამილახა,
მესამე დედა ჩემია;
ეხლა მე დამემუქრა—
შენ დამრჩი უცემელია.
ამისა მაყურებელსა
აღარ მომეცა ფერია!

ვიმეორებთ, ამოვარდა დაბა-სოფლად დიასახლისობა, ოსტატი-ქალი რომ აღარსად არის, საოსტატოც მიივიწყა ხალხმა. ქსოვის მაგიერ ნაქსოვს ყიდულობენ, კერვის ბადლად შეკერილს იძენენ, ბოსტნეული რა არის, ისიც-კი ზოგიერთ სოფლელებს ქალაქიდგან მოაქვთ.

სადღაა ის დედაკაცი, ის დიასახლისი, რომლის შესახებ გვეთქმოდეს: „ქალი რომ გაიწევს, ცხრა-უღელი ხარ-კამეჩი ვეღარ გაწევსო! ცხრა-უღელ ხარ-კამეჩი-კი არა, დღევანდელს ჩვენს დიასახლისს ცალ უღელიც გადაამეტებს გაწევაში.

ვის დაჭერას და ამასთანავე შესწავლის რუსულს და ქართულს უფრო საფუძვლიანად.

—ლი.

ჩვენებური ამბები

ქუთაისი. ერთ კვირაზე მეტია, რაც დღე და ღამე შეუწყვეტლად კოკისპირულად სწვიმს იმერეთში, რის გამოც მდინარეები ადიდდა და მიმოსვლა ერთობ გაძნელდა.

კავკასია

ნება დართულია მეღვინეთა და მევენახეთა კრება კავკასიაში.

—

ბაქოში აკურთხეს რუსეთის სატეხნიკო განყოფილების შენობა, რომელშიაც მოთავსებული იქნება განყოფილების საბჭოს დარბაზი, საგეოლოგიო და სატეხნიკო წიგნთ-საცავი, საქიმიო და სატეხნიკო ლაბორატორია. ამავე შენობაში მოთავსებული იქნება მუშათათვის კურსები და სხვ.

რუსეთი

— 12 დეკემბერს პეტერბურგში დაიწყება რუსეთის რკინის გზის წარმომადგენელთა სატარიფო კონგრესი.

— რკინის გზის სატეხნიკო კონგრესის ბიურო აპირობს ჟურნალის გამოცემას.

— ამ წლის დეკემბერში პეტერბურგში მოხდება პედაგოგიური გამოფენა იმ საგნებისა, რომელიც ბავშვის ფიზიკურ აღზრდას შეეხება.

— 25 ნოემბერს მოსკოვში მოხდა კრება რუსეთის მწერლობის საიუბილეო კომიტეტისა პერიოდულ გამოცემათა თანამშრომელთა თანადასწრებით. გაცხარებული კამათის დროს „Русскій Листокъ"-ის რედაქტორმა ბ. კაზეცკიმ" თავის სიტყვაში გამოურია ისეთი ფრაზები, რომლითაც კრებამ შეურაცხყოფილად ჩასთვალა თავის თავი. კრება ერთხმად ეწინააღმდეგა კაზეცკის სიტყვას და მოინდომა მისი კარში გაგდება. მართლაც კენჭი უყარეს ამ საკითხს და ხმის უმეტესობით გადაწყდა კაზეცკი გაგდებულ იქმნას კარში. ბ. კაზეცკი თავმჯდომარის წინადადებით გავიდა კარში შემდეგ კრებამ დაადგინა კაზეცკის მოქმედება გამოქვეყნებულ იქმნას.

ოვიდიოპული. საბჭოს კრების შემდეგ ქალაქის თავი და საბჭოს წევრები შევიდნენ ყავახანაში ჩაის სასმელად. ჩაის სმის დროს საბჭოს ხმოსნები მისცვივდნენ ქალაქის თავს და დაუწყეს ცემა და თმა სულ დააგლიჯეს. კარგად მიბეგვილი დასტოვეს იქ და ხმოსნები-კი გაიფანტნენ.

— პეტერბურგში დაიწყო გამოფენა ისტორიულ კოსტიუმებისა. გამოფენაზე რამდენიმე განყოფილებაა. ყველაზე დიდს ყურადღებას იქცევს პოლონეთის განყოფილება. კარგი სანახავია „ალქურვილი გუსარი" არწივის ფრთებით; ეს ტანისამოსი მე-XVI საუკუნის სამხედრო ტანისამოსია. გუსარის პირდაპირ, რომელიც „უკვდავთა დროშისაა", კოხტად მოსჩანს საჭურველნი მეფის იან სობესკისა და ჯაჭვის პერანგი იან კაზიმირისა. აქვე არის მშვენიერი გეტმანური კვერთხი თ-დის ჩეტვერტინსკისა.

უცხოეთი

ინგლისი. ამას წინად გაზეთებში მოხსენებული იყო, სპარსეთმა და ინგლისმა საიდუმლო ხელშეკრულობა დასდეს, რომლის ძალითაც ნება ეძლევა ინგლისს სპარსეთის ყურეში მანამდე იყოლიოს თავისი საზღვაო პოლიცია, სანამ სპარსეთი ამავე მოვალეობის ასასრულებლად 4 სამხედრო გემს არ შეიძენს, რომ შესძლოს წესიერების დაცვაო. გარდა ამისა იუწყებოდნენ, სპარსეთმა 2 გემი უკვე შეიძინა ბელგიაში ამ აზრითაო.

ამის შესახებ, აი, რას ატყობინებს ერთი უმაღლესი მოხელეთაგანი გერმანულ გაზ. „Post"-ს:

გარემოებამ აიძულა ინგლისი, რომ სპარსეთის ყურე თავის ზედამხედველობის ქვეშ მიეღოო.

ის მდგომარეობა, რომელიც ინგლისს უკავია სპარსეთის ყურეში, არაა დამყარებული საპოლიტიკო ხელშეკრულობაზე, არამედ თვით ისტორიამ შექმნა იგიო.

ურიცხვი პატარ-პატარა მბრძანებელნი ადგილობრივ ტომთა განუწყვეტლივ მტრობდნენ და ეომებოდნენ ერთმანერთს; ამის წყალობით, რასაკვირველია, სპარსეთის ყურეში ნაოსნობა არ იყო უზრუნველ ყოფილი.

სწორეთ ეს იყო მიზეზი, რომ ინგლისი ჩაერია ამ საქმეში და კიდეც მიაღწია მიზანს,—მოსპო სრულიად შფოთი და აყალ-მაყალი და დაამყარა მშვიდობიანობა აქ ყურეში.

ოსმალეთმა ვერ ისარგებლა ამ შემთხვევით, რადგან არ შესწევდა საკმაო ძალ-ღონე ზღვაზედ. სპარსეთი ისეთ მდგომარეობაში იყო, რომ აზრადაც-კი ვერ გაიტარებდა ხელის გამოღებას და თავის უფლებათა დაცვას.

ამ გვარად ინგლისი იძულებული შეიქმნა თავად დაეცვა სპარსეთის ყურეში ნავოსნობისა და ალებ-მიცემობის უზრუნველყოფა. რასაკვირველია, ინგლისს ეხლაც ისა სწადიან, რომ ზემოხსენებულ ყურეში კვლავ აღარ გამეორდეს ძველებური შიშიანობა. სწორედ ამ აზრით ხელმძღვანელობდა, როდესაც მის სამხედრო გემ „Lapwing"-ს შეემთხვა უსიამოვნობა. როგორც ვიცით, ამ გემიდგან შენიშნეს ერთი გემი, რომელიც უბაირაღოდ მოდიოდა, და როდესაც შეეხმაურნენ, პასუხი არ გასცა. გაიარა პატარა ხანმა და მოისმა თოფის ხმა. დაიჭრა რამდენიმე ზღვაოსანი „Lapwing"-ზე, რომლის კაპიტანმაც მაშინვე მიაშურა იმ გემს და დააკავა. აღმოჩნდა, რომ ეს გემი მართლაც საეჭვო ყოფილიყო.

ოსმალეთს, როგორც უწინ, არც ამ შემთხვევის შემდეგ ამოუღია ხმა.

სპარსეთმა მართლაც შეიძინა ორი გემი ბელგიაში, მაგრამ მხოლოდ საბაჟოების თვალყურის სადევნებლად. ეს გემები მეტად სუსტია იმისათვის, რომ შესძლოს წესიერების დაცვა სპარსეთის ყურეში.

მაშასადამე, ისევ ინგლისის გამგებლობაში იქნება სპარსეთის ყურე, მაგრამ არავითარი საიდუმლო ხელშეკრულობა არ დადებულა მასა და სპარსეთს შორისაო.

ოსმალეთი. ადენის საქმეში ინგლისი და ოსმალეთი მორიგდნენ და ორმავე უარ-ჰყო ადმირის დაჭერა, სანამ ოსმალეთის იემენსა და ინგლისის ადენს შუა ინგლის-ოსმალეთის კომისია არ გაჰმიჯნავს საზღვარს. მიუხედავად ამისა გაზ. „Köuidsbrder H. Ztd"-ს ატყობინებენ სტამბოლიდგან: „6 დეკემბერს (ახ. სტ.) ინგლისელებმა დაიჭირეს ადმირი, რის გამოც პორტამ წინააღმდეგობა განაცხადაო".

მეწამულ ზღვაზედ მიმავალ იალქნიან ხომალდს, რომელსაც ინგლისის ბაირაღი ჰქონდა გაშლილი, თავს დაესხნენ მეკობრენი და მოუკლეს ინგლისელებს ერთი ზღვაოსანი

ინგლისის ელჩმა სტამბოლში მოსთხოვა მთავრობას ამ ზარალის საზღაურად 20,000 ფრანკი.

ოსმალეთის უმაღლესი წრეები სტამბოლში დარწმუნებულნი არიან, ეს უსიამოვნობა სულ ინგლისელების ხრიკებიაო. მათ სურთ ისარგებლონ ამ შემთხვევით და მისის წყალობით იემენში სამხედრო მოქმედება აღძრანო.

სხვა-და-სხვა წერილები

მეაბრეშუმეთა საყურადღებოდ.

(დასასრული *)

ზემორე თქმულიდან ცხადად გამოიხატება მეთესლეს მოვალეობა: მან უნდა მოგვიმზადოს თესლი იმ საჭიდან, რომლის ჭიებსაც ა) არც ერთ კანში ანუ არც ერთ პარკში არ შემჩნევია პებრინის ნიშნები, ესე იგი, რომლის ჭიაც პირველი კანიდან პარკის ახვევამდის დაუზიანებლათ, თანასწორათ იზრდებოდა და რომლის პეპლებსაც პარკიდან გამოსვლისა და თესლის დაყრის შემდეგ მიკროსკოპიული გასინჯვით არ აღმოაჩნდათ პაწაწა სხეულები. ანუ „მკბენარები" და ბ) აგრეთვე ჭიებს არ შემჩნევია ფლაშერის ნიშნები, ესე იგი, ნადიდკანევზე პარკის ახვევამდის ჭია იყო შესამჩნევათ მაგარი და ბრჭყალიანი, ასე რომ, მომვლელი ჭიას ხელიდან გაჭირვებით იშორებდა, ჭიას არ შემჩნევია ჭამაზე სინაზე, პირიქით ფოთოლს დაყრის უმალვე მიესეოდა, ასე რომ ტანსაც არ გაისწორებდა ძ როგორც იწვა, ისე დაუწყებდა ფოთოლს ჭამას; თუ ცახზე დაუხმარებლად გარბოდა და მაშინვე პარკის ახვევას შეუდგებოდა და მალე იმალებოდა პარკში; ერთი სიტყვით, თუ ჭია სიცოცხლით და ყოჩაღობით იყო აღსავსე—ყველა ეს არის იმის ნიშნები, რომ ჭია თავისუფალია ფლაშერის მხრივაც, მაგრამ მეთესლე მაინც კიდევ ამ საჭიის რამდენისამე ასს ჭიას სინჯავს მიკროსკოპით სანამ პარკში მყოფი ბუჟი ანუ მოკუნტული ჭია პეპლათ გადიქცეოდეს. ამ მოკუნტულ ჭიებს მეთესლე მიკროსკოპით უსინჯავს კუჭის შინაარსს; რადგან ფლაშერი კუჭის ავადმყოფობაა; თუ საჭიე დაისენა პარკის ახვევის წინ შემთხვევითი ფლაშერით, ამის ნიშნები ჭიის ბოჟს კუჭში უსათუოდ ექნება. თუ გასინჯულ ჭიების უმცირესობასაც-კი ეს ნიშნები აღმოაჩნდა, მთელი საჭიე თესლისათვის ყოვლად უვარგისად უნდა იცნოს მეთესლემ და პარკი ძაფათ ამოსახვევათ გადასდოს ან გაყიდოს, — თუნდაც ვიმეორებთ, — მეორე ავადმყოფობის ანუ პებრინის მხრივ საჭიე სრულიად სალი იყოს! თუ ასე არ მოიქცა მეთესლე, ის დაჰკარგავს მეთესლის სახელს და მეაბრეშუმეების ნდობას: მისგან მომზადებული თესლი მყიდველს ვერ მოიპოვებს *). როცა მეთესლე ზემოთ დასახელებულ ორ დებულებას სინიდისიერათ ასრულებს, მას შესრულებული აქვს მეთესლის მოვალეობა. აქ ლაპარაკია ჭიის ორ უმთავრეს და ყველაზე საშიშო ავადმყოფობაზე. რასაკვირველია, მეთესლე მოვალეა, რომ მისი სათესლე ჭია სხვა, თუნდაც მცირე ავადმყოფობით, არ იყოს დასენილი, რაც ჭიას ასუსტებს და სიცოცხლის ძალას ანუ გამძლეობას სამემკვიდროთ უკარგავს.

სადაც თავდება მეთესლეს მოვალეობა, იქ იწყება მოვალეობა მეაბრეშუმესი. თუ მეთესლემ სალი თესლი მოგვიმზადა მემკვიდრეობითი პებრინისა და ფლაშერისაგან თავისუფალი, ჭიის მომვლელის ვალია ეცადოს არ შეეყაროს ჭიას შემთხვევითი პებრინა და, რაც უფრო საშიშოა, შემთხვევითი ფლაშერი. ამისთვის საჭიროა, რომ მეაბრეშუმემ ჭიის მოვლა იცოდეს. შემთხვევითი პებრინის შესახებ ზევით გვქონდა ლაპარაკი, სადაც ისიც ვთქვით, რომ შემთხვევითი პებრინა ჭიას პარკის ახვევას აცდისო. რაც შეეხება შემთხვევითს ფლაშერს ამ ხრით მეტი ყურადღება მართებს მეაბრეშუმეს, თუ უნდა რომ ხიფათი აიცდინოს თავიდან. შეუძლებელი აქ არაფერია. მხოლოდ საჭიროა ყურადღება და რაც ჭკუაში მოსასვლელია, იმის დაჯერება. თავი და თავი დებულება, რომელიც უნდა მივიჩნიოთ ჭიის მოვლის საძირკვლათ, არის შემდეგი: ყველაფერი, რაც-კი ჭიას ასუსტებს, ხელს უწყობს ფლაშერის გაჩენას.

ჩვენ ვიცით, რომ ფლაშერი მძვინვარებს პარკის ახვევის წინ, ნადიდკანევზე, ხოლო ჭიას დამასუსტებელი მიზეზები შეხვდება დღიდან კვერცხიდან გამოსვლისა მთელი ერთი თვისა და ნახევრის განმავლობაში. სისუსტე თანდისთან მოქმედობს ჭიაზე, რომელიც იზრდება კიდეც, კანსაც იცვლის და კაცს ჰგონია გამარჯვებულიაო, მაგრამ უეცრათ ვხედავთ, რომ ფლაშერის მსხვერპლი ხდება და მეაბრეშუმეს ხელცარიელსა სტოვებს.

ა) ჭიის დამასუსტებელ პირველ მიზეზათ უნდა ჩაითვალოს ჭიების ერთი მეორეზე დაგროვება, სისქე. მე ვიცი, რომ ზოგი მეაბრეშუმე ამ პირველი მიზეზის დასახელებისათანავე ცხვირს მაღლა ასწევს. ეს იმის ბრალია, რომ ჩვენში მიჩვეულნი არიან ძველი დროიდან, იმ დროიდან, როცა ჭიის ავადმყოფობა არ მძვინვარებდა, ჭიების სქლათ დაჯენას და ისე არაფერი ახარებს ჩვენებური მეაბრეშუმეს გულსა და თვალს, როგორც „მიჩუნჩხულებული", როგორც ჩვენ ვუძახით, მურის დანახვა. დღეს დამტკიცებულია, რომ სწორეთ მური, ახლათ გამოტეხილი ჭია, უნდა დააჯინოს მეაბრეშუმემ ძლიერ თხლათ, თუ უნდა, რომ ფლაშერს ასცდეს. ჩვენ არ ვსწერთ ჭიის მოვლის სახელმძღვანელოს, რომ აქ ადგილი გვქონდეს ამაზე მეტი სიტყვა გავაგრძელოთ. მხოლოთ ვიტყვით კიდევ, რომ განსაკუთრებით სითხით, ჭიების ერთი მეორისგან განცალკევებით, პასტერმა შთამომავლობითი ფლაშერიან ჭიასაც-კი პარკი აახვევინა! პირველ ორ-სამ კანში ჭიების ერთი მეორეზე დაგროვებით, სულ უკანასკნელი, ნახევარი მოსავალი მაინც ილუპება. ბ) ჭიას ზომიერი სითბო ეჭირვება, ზედ მეტი სიცხე-სიცივე ჭიას ასუსტებს და ფლაშერის ნიადაგს უმზადებს. განსაკუთრებით, კანში შეწოლილი ჭია სიცხისაგან ილახება და თუ მაშინვე არ კვდება (უმჯობესია მაშინვე კვდებოდეს), პარკის ახვევათ მაინც გამოუსადეგარი რჩება. გ) პირდაპირი ანუ მახლობელი მიზეზი, რომელიც ფლაშერის ხელს უწყობს-კი არა, პირდაპირ გამოიწვევს, არის დახშული, სულის შემხუთავი ჰაერი. ისე არაფერი ასულდგმულებს და აღონიერებს ჭიას, განსაკუთრებით ნადიდკანევზე, საზოგადოთ, და ცახის ჩადგმის დროს განსაკუთრებით, როგორც ჰაერის განუწყვეტელი დენა, ჰაერის მოძრაობა. ეს დრო არის კრიზისის დრო „ჰო" და "არას" დრო. ჭია, ასე ვთქვათ, ასეთი გაჭირვებული არას დროს არ არის. ის ამდროს, ჩვენში რომ იტყვიან გამწარებული სჭამს. უამრავ ნოტიო ფოთოლს, ანუ წყლიან ფოთოლს სჭამს. მას საშარდე ჭურჭელი არა აქვს, რომ დაგროვილი მის სტომაქში წყალი ადვილათ მოინელოს! ეს ამოდენი ნოტიობა ჭიამ უნდა ორთქლათ გამოუშვას, ჰაერს უნდა გაატანოს. აი სწორეთ განსაკუთრებით ამ დროს მისთვის მიუცილებლათ საჭიროა საჭიე სახლის ჰაერის დენა, ანუ ვენტილიაცია. ჩვენდა საბედნიეროთ, ჩვენებური ისლით დახურული სახლები ამ შემთხვევაში ჰაერის დენას ძლიერ უწყობენ ხელს. ცხვენიანი სახლი ამ მხრით გაცილებით უმჯობესია იდა-სახლზე, რომელსაც მჭიდრო ფიცრის ჭერი აქვს და რაც მჭიდროა საბრეშუმე სახლი ამ შემთხვევაში, თუ მას განსაკუთრებული საჰაერე კარები არა აქვს ჭერში დატანებული, მით უფრო მავნებელია და დამასუსტებელი ჭიისათვის.

ჰაერის დენა, ასე ვთქვათ, ხელს უწყობს ჭიას მოინელოს იმოდენა ფოთოლი, რამდენსაც ის ნადიდკანევზე სჭამს და რაც ამ ფოთლის მონელებას ხელს უშლის. გარდა დახურული ჰაერისა, ყველა რასაკვირველია კუჭს მოუშლის ჭიას და ფლაშერის ნავარდობას ხელს უმართავს. მაგალითად, ჯერ ფოთოლი თავის თავადაც ნოტიოა და მაშინ კიდევ თუ წვიმით ან დილის თუ საღამოს ცვარით დანამული ფოთოლი მიეცა ჭიას საჭმელათ, ეს ხომ დამწვარზე მდუღრის დასხმა იქნება. აგრეთვე ნადიდკანევზე მოსარიდებელია ლორთქოში ფოთოლი. სუქანი ერთი წლის დანაბელი ფოთოლი; ეს ჩვენმა მეაბრეშუმეებმა, რასაკვირველია, გამოცდილებითაც იციან და ნადიდკანევისათვის ფოთოლს ინახვენ განსაკუთრებით. მაგრამ რაც ჩვენში ჩვეულებათ არის ძველთაგან შემოღებული ჭიის მოვლაში და ჭიას რგებს, ამას ახსნა და განმარტება ეჭირვება, რომ უფრო მეტი ყურადღება მივაქციოთ.

მაგალითად, ელვა და ქუხილი ჩვენში ძველთაგან ცნობილია ჭიის დამზარალებელ მოვლენათ. მართლაც ქარიშხლიანი და ჭექაქუხილიანი ტაროსი ჰაერს, ასე ვთქვათ, ამძიმებს და მეტად ხელს უშლის ჭიის ტანიდან სინესტის აორთქლებას და მით ჭიისაგან ფოთლის მონელებას. და თუ ჭიამ ფოთოლი ვერ მოინელა, ეს მის სტომაქში მაჭრდება, მჟავდება დ მთელ საბრეშუმე სახლის ჭიას სულ ერთ დღეს სპობს. ღმერთმა ყველა მეაბრეშუმეს აშოროს იმ დროს ასეთი ამინდი, მაგრამ თუ შეემთხვევა, ჭია იმდენათ ღონიერი და სიცოცხლით სავსე უნდა ჰყავდეს, და კიდეც ეყოლება კარგ მეაბრეშუმეს, რომ ამ ცუდ ტაროსს გაუძლოს. დასუსტებული და უღონო ჭია-კი ვერ აიტანს და ეს თვითონ მეაბრეშუმეს ბრალი იქნება: პირველი ამიტომ, რომ შეიძლება მან შეიძინა არა საიმედო თესლი, დაყრილი დასუსტებული და დასენილი ჭიების პეპლებიდან და მეორეთ, თუ ამ მხრით მეაბრეშუმე მართალია, ესე იგი, თუ მან იღონა, რომ სალი თესლი მოეპოვებია, მაშინ მოვლით დაუკლია ხელი ჭიისათვის, რომ მათ შერჩენოდათ წინაპრების სისალე და გამძლეობა. ორში უსათუოდ ერთი ღალატობს თავის მოვალეობას, როცა ვხედავთ, რომ აბრეშუმის ჭია მოსავალს არ იძლევა: მეთესლე ან მეაბრეშუმე.

მეაბრეშუმეთა ამხანაგობების ვალია კიდევ, რომ ეცადონ, ყოველი ღონე იხმარონ, რათა ერთის მხრით მეთესლემ და მეორეთი მეაბრეშუმემ თავიანთი მოვალეობა შეასრულონ. ამას შედეგად მოჰყვება პარკის უხვი მოსავალი და როგორც მეთესლესი ისე მეაბრეშუმეს შრომის უხვი დაჯილდოება. როგორ უნდა შეასრულონ ამხანაგობებმა ეს მათი მოვალეობა?—სანამ მათ ვერ მოუხერხებიათ ერთმანერთს ხელი მისცენ და შეერთებულის ძალით საკუთარი სათესლე ქარხანა დააარსონ, მანამდის ის მაინც უნდა ქნან, რომ საქმის მცოდნე მეთესლესთან დაიჭირონ საქმე, მოამზადებინონ მას სალი თესლი და ეცადონ ეს თესლი გაავრცელონ მეაბრეშუმეებში. ამისთვის საჭიროა, მეორეს მხრით, ამხანაგობები თითონ მეაბრეშუმეებს დაუახლოვდნენ, გააცნონ ესენი თუ რას ჰქვიან სალი თესლი და როგორი ხელის წყობა ეჭირვება ჭიას პარკის კარგი მოსავლის მისაღებათ.

ქუთაისის გუბერნიის მეაბრეშუმეთა პირველ ამხანაგობას, მადლობა ღმერთს, მეაბრეშუმეებში სახელი აქვს მოხვეჭილი, შედარებით, სალი თესლის გამავრცელებელ დაწესებულებისა.

ამიტომაც ის ყოველ წლივ ასაღებდა რვიდან ათი-ათას კოლოფამდის თესლს. ამხანაგობას აზრათ ის-კი არა აქვს, რომ თესლის გასაღებით ფული მოიგოს. ამხანაგობის მიზანია, რომ მისგან გაყიდულმა თესლმა მეაბრეშუმეს კარგი მოსავალი მისცეს. ამიტომ ამხანაგობის გამგეობამ განიზრახა დაუახლოვდეს მეაბრეშუმეებს და, რაც ამ წერილში კონსპექტიურათ მოყვანილია, ცოცხალი სიტყვით გადასცეს. საჭიროა ყოველ თითოეულ შემთ-

---

*) იხ. „ივერია" № 257.

*) აქ არ შეიძლება გავითვალისწინოთ ჩვენებური საბრეშუმო სადგურის მოქმედება, რადგან ამას ჩვენი მეაბრეშუმეებისათვის დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. როგორც წინა შენიშვნაში იყო ნათქვამი სადგური სინჯავს თესლს და არა თესლის დამყრელ პეპლებს, რაც მიუცილებლათ სავალდებულოა, თუ გვინდა ნამდვილად დარწმუნებული ვიყოთ, რომ თესლი მემკვიდრეობითი პებრინისაგან თავისუფალია; ფლაშერის მხრით სადგური ყოვლად უღონოა შეიტყოს თესლის სიავ-კარგე. მიუხედავად ამისა, ის სადგური —ავალებს მეთესლეებს, რომ მას წარუდგინონ თესლიანი კოლოფები შესამოწმებლად და ვინც არ წარუდგენს, იმას საჯაროთ ყალბი თესლის გამყიდველს უწოდებს, ხოლო ვინც წარუდგენს თესლს და სადგურიც გასინჯავს, ვთქვათ, ას კოლოფ თესლში ხუთ კოლოფსა და ვერ აღმოაჩენს თესლიდგან საჩქაროდ, უდროვო-დროს, გამოყვანილ ჭიაში პებრინის ნიშნებს „მკბენარებს", სადგური ავტორიტეტულათ აღიარებს თესლს სალ თესლად და მეთესლეებს ამით ათავისუფლებს ყოველის პასუხის გებისაგან. ზემოთ ნათქვამიდგან ჩვენ ვიცით, რომ ასეთი მოქმედება სადგურის მხრივ მოკლებულია ყოველ სიმართლეს და უნდა ჩაითვალოს მავნებელ და არა ხელის შემწყობ მოქმედებად, როგორც სადგურს ჰგონია, ჩვენი მეაბრეშუმეებისათვის.

6 წ..

კარგი რამ ყოფილა ხვარამზე, აი, ის ხვარამზე, რომლის შესახებ უთქვამსთ:

ქალობა დაიკვეხოდეს
ქალმა ხვარამზისთანამა:
ვერც გასჭრა ხმალმა ფრანგულმა,
ვერც შეაშინა დანამა!
ამისთანა არსებაზე ამბობს ხმა ერისა:
ზღვაზედ ხიდსა ვერვინ გასდებს,
ვერც ვინ დაუდებს დირესა.
ვინა თქვა, რომე ჩვენშია
სულ დედა არ ზრდის შვილებსა?!
ახლანდელი ქალი-კი აი როგორია ხშირად:
ქართლიდანა გამოვთხოვდი
კოხტა ქალი მეო;
ჩავიცვი და დავიხურე,
კარგა მოვირთეო:
წავიგლისე უმარილი,
ფერი ვიქარგეო.
ცივწყაროზე რომ მოვედით,
სადილი ვჭამეო;
შუა გზაზედ რომ მოვედით,
ცხენს ავუჩქარეო;
მაყრიონი მომძახოდა,—
ქალ, დაგვიცადეო!
მე იმათ ლაყაფ-ლუყაფსა
ყური არ ვუგდეო...
სოფლის პირში რომ მივედი,
ვარდი ავკონეო;
სანთლის შუქი დავინახე,
იქ მივიტანეო.
მულები გამომეგებნენ,
არ მივესალმეო.
ცხენს ალვირი წამოვყარე,
შინ შევიწიეო;
კარებშია რომ მივედი,
თაფლი შევლოკეო;
სამჯერ კერას მოუარე,
ჯამი გავტეხეო;
მივიხედე-მოვიხედე,
საჯდომს დავხედეო:
ბალიში რომ არსად იდვა,
ჯეჯიმზედ დავჯეო.
იქით-აქეთ პურსა სჭამენ,
პური მშია მეო;
ცალკე რომ მიმიპატიჟეს,
ის მიამა მეო.
ტაფა რომ დააჩხარუნეს,
ის მიამა მეო:
ათი კვერცხის ერბოკვერცხი
მარტომ შევჭამეო;
დიდი ლუკმა ამოვიღე,
სხვას მოვეფარეო,
სტაქნით ღვინო მომაწოდეს,
ის მეწყინა მეო!
ნახე, ლიტრა მომაწოდეს,
ის მიამა მეო:
დავლიე და გამოვცალე,
გამოვაგორეო!
მამამთილს წვერი ვაგლიჯე,
კალთას ვუყარეო;
დედამთილი გავმუგზურე,
მული გავჯოხეო:
მაზლი კარს ეფარებოდა,
აგებ გადავრჩეო.
ქმარი სამკალზედ გავგზავნე,
მკადი ვუსესხეო;
მაწონსა თავი მოვხადე,
დო შევუნახეო;
სალამოზედ რო მოვიდა,
დო მიუტანეო!

ამ გვარი დიასახლისები დღეს ყველგან ბევრია, ჩვენდა სამწუხაროდ და სავალალოდ. და ეს ცოტაა კიდევ. ამ გვარი არსება რაღაც აჭრელებულს ენაზე ლაპარაკს შეჩვეულა ანუ ეჩვევა; მამა „პაპა"-დ უქცევია, დედა „მამა"-დ, დეიდა „ტოტა"-დ, ლვდლის ცოლი ფოფოდიად გამხდარა, კეთილშობილის ქალი კნიაჟნად, კნეინად... სტუმრობაა თუ სოფლობა —ყველგან გესმის რაღაც აჭრელებული, ნებროთის დროისებური ენათა შერევნა...

და ამიტომაც არის, რომ ამ გვარ „სადიასახლისოს" წაყვანას ისევ უცოლოდ დაშთენას არჩევენ ჩვენებური ახლანდელი ჭაბუკები და ვაჟკაცები. დედა თუ შვილს ვერ ასწავლის ღვიძლს ენას და სამშობლოს სიყვარულს, წიგნს და წერა-კითხვას, ვერ შეიკერავს, ვერ მოიქსოვს, ვერ მოუვლის სახლს,—აბა ამისთანა არსებას ვინ წაიყვანს კანონიერ ცოლად თავის გულის გასასიებლად!..

დრო-ჟამმა და უფრო-კი ჩვენმა დაუდევრობამ ასრე დასცა და დააქვეითა ჭეშმარიტი დიასახლისობა, მაგრამ დღეს ჩნდება მთელი გუნდი მოწალმართე და ფრიად მომჭირნე ქალებისა და უკვე ბევრნიც კეთილად მოღვაწეობენ...

ბერი.

ხვევაში, როცა მეაბრეშუმეს შრომა ეღუპება და მოსავალი არ მოსდის, გამოკვლეულ იქნეს ფაქტის ნამდვილი მიზეზი. თუ-კი ჭიის გონივრული მოვლის ყველა წესები დაცულ იყო, ცხადია ბრალი მეთესლეს დაედება. წინააღმდეგ შემთხვევაში, როცა მებრეშუმე ჭიის მოვლას ხელს ჰკიდებს, ხოლო ჭიის მოვლის საფუძველი მისგან უარყოფილია, ცხადია, ის თითონვეა მიზეზი თავის ზარალისა.

ამხანაგობის გამგეობა უმორჩილესის თხოვნით მიმართავს ყველა შეგნებულ პირთ, სოფელში მცხოვრებთ, რათა გაუადვილონ ამხანაგობას დასახელებული მიზნის მიღწევა და მით დაავალონ როგორც ამხანაგობის გამგეობა ისე სოფლის მებრეშუმეები.

ქუთაისის გუბერნიის მეაბრეშუმეთა პირველი ამხანაგობის თავმჯდომარე პ. მდივანი.
წევრი ერ. კიწმარიშვილი.
ამხანაგობის გამგე-დირექტორი ნ. წერეთელი.

თეატრი და ხელოვნება

„პატარა კახი" 5 მოქ. ისტორიული დრამა აკაკი წერეთლისა და „საღამოზე ერთი ცხვირი ხეირია" 1 მოქ. ვოდევილი გ. სუნდუკიანცისა.

კვირას, დეკემბრის 1-ს ქართულ დრამატიულ დასის მიერ წარმოდგენილ იქმნა აკაკი წერეთლის 5 მოქმ. ისტორიული დრამა „პატარა კახი" და გ. სუნდუკიანცის 1 მოქ. ვოდ. „საღამოზედ ერთი ცხვირი ხეირია".

ჩვენ არ შევუდგებით „პატარა კახის" ღირსება-ნაკლულევანებების განხილვას, რადგან არა ვგონებთ, ისეთი წერა-კითხვის მცოდნე ქართველი მოიპოვებოდეს, რომ ან არ წაეკითხოს, ან სცენაზედ მაინც არ ენახოს იგი.

შესრულების შესახებ უნდა ვსთქვათ, რომ საზოგადოდ მწყობრად, რიგიანად ჩაიარა პიესამ, თუმცა ზოგიერთნი არ იყვნენ თავის ადგილზე; მაგ., ბ-ნი რომანიშვილი მეტად მკრთალი იყო პატარა-კახის როლში და ეს მოსალოდნელიც იყო, რადგან ჯერ სრულებით გამოუცდელი, გაუწვრთნელი მსახიობია, სცენაზე თამაშობს რაღაც ორი თუ სამი თვე, და განა შეეძლო ამ ახალგაზდა მსახიობს, დიდი ნიჭის პატრონიც რომ ყოფილიყო, განეხორციელებია ჭაბუკი გმირთა-გმირი, რომელიც უკვე ჰგრძნობს თავის სიძლიერეს და მზადაა შეუდგეს თავის მაღალ მოწოდებას. თექვსმეტის წლის პატარა-კახს აღტაცებაში მოჰყავს როგორც თავისი აღმზრდელი გივი, ისე მთელი ახალგაზდობა. რასაკვირველია, ვერ შესძლებდა ჯერ კიდევ გამოუცდელი მსახიობი ამ დიდ-ბუნებოვან კაცის განხორციელებას, და ასეც მოხდა.

მშვენივრად შეასრულა ბრმა-მოხუცის გულას როლი ბ-ნმა ვ. გამყრელიძემ. ხმა, გარეგნობა, მიხვრა-მოხვრა—ყველაფერი შესაფერისი ჰქონდა.

ძალიან კარგი იყო ქ-ნი ლეჟავი გელას ქალის როლში; სწორედ სავსებით დაგვიხატა სოფლის ცქრიალა გოგონას მარტივი ბუნება.

კარგები იყვნენ ბ-ნნი ქუჯი, შათირიშვილი და ივანიძე; არა უშავდა-რა ბ-ნ სვიმონიძეს. ქ-ნი გამყრელიძისა სუსტობდა დედოფლის როლში.

ქ-ნმა გაბუნია-ცაგარლისამ ბ-ნ ვ. აბაშიძემ და აწყურელმა ისე საუცხოვოდ შეასრულეს ვოდევილი, რომ მეტის სიცილით ბევრმა კურკლებიცა ჰყარა.

დასასრულ არ შეგვიძლია მადლობა არ გამოვუცხადოთ დრამატიულ საზოგადოებას, რომ სახეში მიიღო კვირაობით თეატრში მოსიარულე საზოგადოება და სწორედ ისეთი პიესა აურჩია, რომელიც უკეთ ესმის, უფრო სწვდება მის გულსა, მიტომაც მოხდა, რომ თეატრს აუარებელი ხალხი მოაწყდა. ნახევრობაზედ მეტი უკანვე გაბრუნდა უბილეთობის გამო. ცხადია, რომ რომელიმე ისტორიული, გინდ თანამედროვე ევროპიული პიესა ისე ვერ იმოქმედებდა, ასეთ შთაბეჭდილებას ვერ მოახდენდა ამ ყარაჩოღულად გამოწყობილ ძმა-ბიჭებზე, რომელნიც ლახათიანად ჩამწკრივებულნი იყვნენ ლოჟებსა და პირველ რიგის სკამებზე, როგორც ჩვენის ცხოვრების სურათები.

საზოგადოება დიდის აღტაცებით მიეგება მსახიობთ და ტაშის ცემას საზღვარი არა ჰქონდა.

ავჭალის ქუჩის სახალხო თეატრში. შაბათს, 30 ნოემბერს ქართულ წარმოდგენების სახალხო სექციამ წარმოადგინა აზიანის სამ მოქმედებიანი კომედია „ფული და ხარისხი". წარმოდგენამ, რომელშიაც მონაწილეობას იღებდნენ ქართულ დრამატიულ დასის მსახიობი ქალები გაბუნია-ცაგარლისა და ჩერქეზიშვილისა, წარმოდგენამ კარგად ჩაიარა. მსახიობთა გარდა კარგნი იყვნენ ნ. გოცირიძე (არტემა), გ. გელიყურაშვილი (ბაგრატა) და სხვანი. ამ ღამეს პირველად ითამაშა ბ-ნმა ჯანდიერმა, ასრულებდა მოხუცებულ თავადის როლს და ძალიან შეგნებით შეასრულა თავისი როლი. წარმოდგენის შემდეგ კონცერტი გაიმართა: სიმღერები სთქვა მომღერალთა გუნდმა, ლექსები წაიკითხეს სცენის მოყვარულებმა და სხვ

ავლაბრის სახალხო თეატრში, გუშინ-წინ, კვირას, დილის 11 საათზე იგივე პიესა წარმოადგინა სახალხო სექციამ. წარმოდგენის შემოსავალი გადადებულია ბავშვთა მფარველ საზოგადოების სასარგებლოდ. წარმოდგენაში მონაწილეობას იღებდნენ ქ-ნნი გაბუნია-ცაგარლისა და ჩერქეზიშვილისა.

ცეცხლისაგან დაზარალებულ ცხინვალელთა დასახმარებლად შემდგარი კომიტეტი 1903 წ. 18 იანვარს დაზარალებულთა სასარგებლოდ ტფილისში გაჰმართავს საქველ-მოქმედო ამერიკულს ბაზარს საკონცერტო განყოფილებით. შეწირულებანი, ნივთებით და ფულად მიიღება დიდის მადლობით.

კვირას, 8 დეკემბერს, ტფილისის საკრებულოს დარბაზში ტფილისის მასწავლებელ და აღმზრდელ ქალთა საზოგადოების სასარგებლოდ გაიმართება სამუსიკო—დრამატიული საღამო სამის განყოფილებით.

კვირას, 15 დეკემბერს, ტფილისის საარტისტო საზოგადოების თეატრში ტფილისის სომხების დედათა საქველ-მოქმედო საზოგადოების სასარგებლოდ გაიმართება საცეკვაო საღამო.

დეპეშა

„ივერიის" დეპეშა

(საკუთარის კორესპოდენტისაგან)

ბათუმი. 1-ლ დეკემბერს ხმოსნებად არჩეულ იქმნა ათი ქართველი, ორი სომეხი და ერთი ბერძენი.

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან")

30 ნოემბერი

პეტერბურგი. „პრავიტ. ვესტნიკ"-ში დაბეჭდილია: „დივადია. 28 ნოემბერს სასახლის წინ, მოედანზე, მოხდა საეკკლესიო პარადი დივადიის მეციხოვნეთა. პარადს უფროსობდა პოლკ. ჩერეპახინ-ივაშჩენკო. 11 საათზედ ხელმწიფე იმპერატორმა კეთილ ინება და ჯარს ჩამოუარა. ოდესის სამხედრო ოლქის ჯართა უფროსმა მუსინ-პუშკინმა წაიკითხა უმაღლესი ბრძანება ჯარისა და ფლოტის მიმართ. პროტოპრესვიტერმა იანიშევმა გადაიხადა პარაკლისი სადღეგრძელო—მრავალჟამიერის წარმოთქმით ხელმწიფე იმპერატორისა, დედოფალ იმპერატრიცებისა, ხელმწიფე მემკვიდრისა და მთლად სამეფო გვარეულობისა. შემდეგ მოიხსენიეს ღვთივ განსვენებულნი იმპერატორნი ალექსანდრე მე-II და ალექსანდრე მე-III, დიდი მთავარი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე, მთავარი სერგეი მაქსიმილიანის ძე. პარაკლისს დაესწრო დედოფალი იმპერატრიცა ალექსანდრა თეოდორის ასული. პარაკლისის შემდეგ ხელმწიფემ ჯარს ჩამოუარა. როდესაც ჯარმა გაიარა, ხელმწიფემ კეთილ ინება და მადლობა გადაუხადა. პარადის შემდეგ მისმა უდიდებულესობამ აიღო ჭიქა და ბრძანა: „ვსვამ ოსმალეთის ომის გმირთა სადღეგრძელოს, აგრეთვე ვისურვებ ჯარისა და ფლოტის აღყვავებას". საუზმის შემდეგ მათმა უდიდებულესობამ საუბრით ყველა გააბედნიერა.

ბერლინი. რეიხსტაგი. ბებელმა გაჰკიცხა უმრავლესობის დასი და მთავრობა და სთქვა, თუ კარდორფის წინადადების განხილვა ერთ წუთს გათავდება, რეიხსტაგი დაეცემა მთელის ქვეყნისა და გერმანიის ხალხის თვალში. შპანის წინადადებით, რომელიც მიღებულ იქმნა 195 ხმით 113 ხმის წინააღმდეგ, დასრულდა კამათი კარდორფის წინადადების გამო. რეიხსტაგი კარდორფის წინადადებისა და სატარიფო კანონ-პროექტის პირველ პარაგრაფის მიღების შემდეგ, 202 ხმით 119 ხმის წინააღმდეგ, მორიგ საქმეებზე გადავიდა. დასახელებულ წინადადებით დამთავრებულ იქმნა კანონ-პროექტის მეორედ კითხვა.

ქრისტიანია. ნობელის კომიტეტმა პრემია მიუსაჯა ბერნის სამშვიდობო კომიტეტის მდივანს დიუკომენს და ბერნის სამშვიდობო ბიუროს მდივანს დოქტორს გოდას.

ლონდონი. სათადარიგო ესკადრამ დევენპორტში ბრძანება მიიღო, 24 საათში მოემზადოს ზღვაში გასასვლელად.

ნიუ იორკი. ვენესუელის ორი გემი 23-ს შეიპყრო ინგლისის გემმა და პორტ-ოფ-სპეინში წაიყვანა.

სოფია. იანკოვი ბელგრადში მარკოვიჩთან იყო.

ლაგუაირა. კარაკასიდგან მოიტანეს 18 ზარბაზანი და მოვიდა სამხედრო მინისტრის უფროსობით 2,000 კაცი. სტრატეგიო ადგილები ქალაქთან ვენესუელის ჯარმა დაიჭირა. დიდი მზადებაა მტრის დასახვედრად.

ვილლემსტადტი. გერმანიისა და ინგლისის გემებმა ვენესუელის სამი გემი შეიპყრეს, მეოთხე-კი დაახრჩეს.

ვაშინგტონი. პალატამ გადასწყვიტა მიანდოს პრეზიდენტს, წინადადება მისცეს ინგლისსა და გერმანიას, რომ ვენესუელის საქმის გამო სამედიატორო სამართალი დაინიშნოს.

პარიჟი. საბიუჯეტო კომისიამ დაადგინა, რომ ხმელთა შუა ზღვის ესკადრა გაადიდოს: იმდენი გემი უნდა იყოს, რამდენიც წინად იყო.

ვაშინგტონი. გერმანიისა და ინგლისის ელჩებს შეუხვდათ გააგებინეს გარეშე საქმეთა სამინისტროს, რომ არც ინგლისი და არც გერმანია არ გადაუხვევს ერთად მოქმედების გეგმას.

ბერლინი. „ფოს. ცაიტ."-ს სიტყვით, სიცრუეა ის ამბავი, რომელსაც ლონდონიდგან იუწყებოდნენ,—ვითომ მოკავშირე სახელმწიფოების განზრახვა ჰქონდეთ შეიპყრან პრეზიდენტი კასტრო. სახელმწიფოს შიგნით ჯარის გაგზავნა განზრახული არ არის. საქმე საზღვაო მოქმედებით გათავდება.

პეტერბურგი. „პრავიტ. ვესტ."-ში დაბეჭდილია მთავრობის განცხადება საქმის ვითარების შესახებ ბალკანეთის ნახევარ კუნძულზე: „როგორც სჩანს, ოსმალეთის მართლ-მადიდებელნი მცხოვრებნი კომიტეტების გავლენით ასაჯანყებლად ემზადებიან. გაზაფხულზე იმპერატორის მთავრობა ამის გამო გამოელაპარაკა პორტას: კონსტანტინეპოლში მყოფ ელჩს მიენდო, ურჩიოს პორტას, რაც შეიძლება, მალე განხორციელებულ იქმნას უსაჭიროესი რეფორმები. რუსეთი ჰკიცხავს მეცადინეობას სლავიანებისას, რომელნიც ცდილობენ ბალკანეთის ნახევარ კუნძულზე წეს-წყობილების ძალმომრეობით შეცვლას; იმან ურჩია სერბიასა და ბოლგარიას, რომ ხელი შეუშალონ აგიტაციას. რუსეთის ამგვარ მეცადინეობას სხვა სახელმწიფონიც თანაგრძნობით ეგებებიან. ავსტრიის ელჩს მიენდო, რომ მხარი დაუჭიროს რუსეთის წინადადებას. რუსეთის მთავრობას იმედი აქვს, რომ პორტა ზომებს იხმარს ძალ-მომრეობის მოსასპობად და დააფასებს მნიშვნელობას სამეზობლო რჩევა-დარიგებისას. ერთად მეცადინეობა მეზობელ იმპერიისა შედეგია 1897 წ. შეთანხმებისა. ამ შეთანხმების განხორციელება შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაცული იქნება ამ შეთანხმების მთავარი საფუძველი, სახელდობრ: ნება არავის მიეცემა წეს-წყობილების შეცვლისა ბალკანეთის ნახევარ კუნძულზედ და ხელი შეეწყობა წეს-რიგს, რომელიც საჭიროა საერთო მშვიდობიანობის დასაცველად".

ვაშინგტონი. ვენესუელის მთავრობამ სთხოვა ამერიკის ელჩს, წინადადება მისცეს ინგლისსა და გერმანიას სადაო საქმე ვენესუელასთან სამედიატორო სასამართლოს გადასცეს.

ბერლინი. როგორც გერმანიის წარმომადგენლის დეპეშიდანა სჩანს, კასტროს უარი შეუთვლია და წარდგენილ ულტიმატუმის არც ერთი მუხლი არ შეუწყნარებია.

1 ნოემბერი.

ბერლინი. როდესაც სატარიფო კანონ-პროექტის მესამედ კითხვას შეუდგნენ რეიხსტაგში, კანცლერმა განაცხადა, რომ მთავრობანი თანახმანი არიან სადამფუძნო ტარიფისა ეხლა წარდგენილ რედაქციით. მთავრობანი თანახმანი არიან გაუქმდეს საქალაქო გადასახადები, გვიან იქმნას შემოღებული ქვრივ-ობოლთა პატრონობა და იმ კომპრომისის, რომელიც ჰეროლდმა წარმოადგინა. ბოლოს კანცლერმა სთქვა, იმედი მაქვს, დიადი საქმე სატარიფო რეფორმისა სამშობლოს საკეთილოდ დაგვირგვინდებაო. (მემარცხენეთ ხმა-მაღლა პროტესტი განაცხადეს, ხოლო უმრავლესობა ცხარე ტაშის ცემას შეუდგა).

რომი. კრეისერი „კარლ ალბერტი" მზად არის ვენესუელაში წასასვლელად, რომ იქ მხარი დაუჭიროს იტალიელთა ძველ პრეტენზიებს.

ლონდონი. პუერტო-კაბელაში მცხოვრები უცხოელნი ვინსტასა და არეალხის ნავთსადგურში წავიდნენ. გემები ემუქრებიან ქალაქს—უშიარებს დაგიმუსთო.

ვაშინგტონი. მთავრობა ვენესუელაში არავითარ სამხედრო გემს არა ჰგზავნის.

ლონდონი. გამოქვეყნებულ იქმნა ორი ხელშეკრულობა განსაზღვრის შესახებ: ერთი ინგლისსა და აბისინიას შორის და მეორე—ინგლისსა, იტალიასა და აბისინიას შორის.

ბერლინი. ბიულოვმა ბარტის საპასუხოდ შეაქო მამულიშვილური წინ-დახედულობა უმრავლესობისა და განაცხადა, რომ მოკავშირე მთავრობანი მოსურნენი არიან ხელ-ახლად გრძელ-ვადიან სავაჭრო ხელ-შეკრულობებისა. გერმანია იძულებული როდია არა სასარგებლო პირობანი მიიღოს. შემოტანილი საქონელი ერთის მილიარდით აღემატება გატანილს. გერმანია საუკეთესო მუშტარია დედა-მიწაზე.

ვაშინგტონი. იმ რეზოლიუციაში, რომელიც პალატას გადაეცა, ეკითხებიან გარეშე საქმეთა სამინისტროს,—შეუძლიან თუ არა შტატებს ხელი შეუწყოს ვენესუელას საქმის სამშვიდობოდ გადაწყვეტას.

ბერლინი. ანტრიკმა 8 საათს ილაპარაკა. ამის შემდეგ კამათი შპანის წინადადებით დამთავრებულ იქმნა. პირველი პარაგრაფი და ჰეროლდის წინადადება პალატამ მიიღო 200 ხმის უმეტესობით 107 წინააღმდეგ. საზოგადო კამათი უმრავლესობის დასის წინადადებით დასრულდა. შეუდგნენ კამათს ცალკე საგნების შესახებ. პირველი პარაგრაფის მიღების შემდეგ, კარდორფის წინადადებით სხვა პარაგრაფების განხილვა შეამოკლეს, თუმცა უმცირესობა დიდს პროტესტს აცხადებდა. ზინგერს თავმჯდომარემ სამჯერ უბრძანა დაწყნარება. ღამის ორს საათზე შეუდგნენ ხმის ჩამოტარებას თითოეულ პარაგრაფზე ცალკ-ცალკე. კრების დარბაზი ხალხით სავსეა. ბიულოვი დილის 10 საათიდგან დარბაზშია.

ლონდონი. მოლამ ინგლისელებს გაუგზავნა მეორე უგზო წერილი, რომლითაც აღნიშნავს ზავის დადების საჭიროებას. მოლა თხოულობს, ჩრდილოეთის სანაპიროზე ნავთსადგურის დათმობას და იარაღის შეტანის გაადვილებას; ამასთან ამბობს, ადვილად ვიშოვნი იარაღსაო.

ლაგუაირა. ინგლისის კრეისერმა და გერმანიის სამხედრო გემებმა საბრძოლველ მოედანზე ქალაქის წინ დაიჭირეს მარჯვე ადგილები.

ხარკოვი. დონეცის ქვა-ნახშირის ექსპორტის მოსაწყობად მთა-მადნის მრეწველთა კრებამ საჭიროდ სცნო მადნის პატრონთა სააქციონერო საზოგადოების დაარსება. საზოგადოებას ნება უნდა მიეცეს საკუთარი გემები იქონიოს. კრებამ დაადგინა კომისიის მოხსენება სავაჭრო ნაოსნობის გაძლიერების შესახებ გადასცეს კრების საბჭოს და დაავალოს წარუდგინოს დიდს მთავარს ალექსანდრე მიხეილის ძეს განსაკუთრებული მოხსენება, ამასთან აღნიშნოს ის საშუალებანი, რომელიც შეიმუშავა კრებამ სამხრეთ ნავთ-სადგურის გასაუმჯობესებლად. კრებამ დაადგინა 40,009 მან. გადასდოს იმ საზოგადოების ფონდისათვის, რომელიც დაშავებულ მუშებს ეხმარება; დაადგინა აგრეთვე იშუამდგომლოს მადნის მუშათა ურთიერთ დამხმარე საზოგადოების წესდების დამტკიცების შესახებ.

2 დეკემბერი.

პეტერბურგი. ფინანსთა მინისტრის ამხანაგმა კოვალევსკიმ სამსახურს თავი დაანება. მის ადგილზე დანიშნეს ბერლინის აგენტი ტიმირიაზევი.

პეტროვსკი. დაარსდა ბეითალთა პირველი საზოგადოება.

ხარკოვი. მადნის მწარმოებელთა კონგრესი დაიხურა. საბჭოს თავმჯდომარედ არჩეულ იქმნა ავრაკოვი.

სერბუხოვი. კაშირის ციხიდგან ორ ტუსაღს გაქცევა განუზრახავს. მათ სძიმედ უცემიათ ზედამხედველისთვის გაქცევა დაუპირებიათ, მაგრამ ციხის მეთვალყურეს შეუტყვია და ერთი იქვე მოუკლავს, მეორეს გადახტომაში ფეხი უღძვია.

ლონდონი. ვითომც პრეზიდენტს კასტროს მოესურვოს ვენეცუელის სადავო საქმე სამედიატორო სამართლისთვის გადაცემა, ამის შესახებ აქ არაფერი იციან.

პარიჟი. სიამმა გარდასწყვიტა დააარსოს: სახალხო ჯანმრთელობის საზოგადოება, განყოფილება საფრანგეთის ინჟინერთა ხელმძღვანელობით შენობების გაუმჯობესობისა, ბაკტერიოლოგიური ინსტიტუტი ფრანგ ექიმთა მონაწილეობით და მოიწვიოს ფრანგული ენის მასწავლებლები.

ჰიბრალტარი. გაიარა რუსეთის ესკადრამ, რომელიც როგორც ეტყობოდა, ალჟირისაკენ მიემგზავრებოდა.

ბერლინი. სატარიფო კანონ-პროექტი უკლებლად მიიღეს. კრებები 31 დეკემბრამდე შეწყვეტილია.

სტამბოლი. მუსსრუს-ბეგი დაინიშნა ლონდონის ელჩად.

ლაგუაირა. გერმანიის სამხედრო გემმა ვენეცუელის ხომალდი ხელთ იგდო.

პეტერბურგის ბირჟა, 19 ნოემბერს.

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონში 10 გირვ. სტ.	93,85
ბერლინში 100 მარკაში	45,92½
პარიჟში 100 ფრანკში	—
ლონდონში ჩეკები	94,70
ბერლინში ,,	46,30
პარიჟში ,,	37,64½
ბირჟის დისკონტი	5—6½%
4% სახელმწიფო რენტა	97¾ გაყ.
4% სახ. სესხი 1902 წ.	99¼ მყიდ.
4% გირავნ. ფურც. სახელ. სადვ. მამულო ბანკისა	94½ მყიდ.
5% 1-ლ შინგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	482 მყიდ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	372 მყიდ.
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. სადგ.-მამ. ბანკისა	301½ მყიდ.
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	88½ გაყ.
4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	—
5% ტფილ. სადგ.-მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ.	89¾ წვრ. გაყ.
4½% გირავნობ. ფურც. იმავე ბანკისა	—
6% ქუთ. სადგ.-მამ. ბანკის გირ. ფურცლ.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—
პაები ძმ. ნობელის სანავთო მრეწვ.	99½ მყიდ.
აქციები ,, ,, ,, ,,	495
,, კასპიის ამხანაგობისა.	4650 წვრ. გაყ.
,, ბაქოს ნავთის საზოგად.	420 წვრ. გაყიდ.
,, ა. ი. მანთაშევისა და ამხ. ნავთის სამრეწვ. საზოგად.	202 წვ. გაყ.

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

15 ოქტომბრიდგან 15 მაისამდე.

(ფრჩხილებს გარეშ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში-კი—ტფილისისა).

ა) ტფილისიდგან მიდის:

ბათუმს:—1) საფოსტო № 3 საღამოს 7 ს. 20 წ. (8 ს. 18 წ.); 2) სამგზავრო № 5 დილის 8 ს. 50 წ. (9 ს. 48 წ.).

ბაქოს:—1) საფოსტო № 4 დილის 11 ს. 5 წ. (12 ს. 3 წ.); 2) სამგზავრო № 6 საღამოს 9 ს. 11 წ. (10 ს. 9 წ.); 3) სწრაფი № 20 (სამშაბათობით, პირდაპირ მოსკოვამდე)—დილის 7 ს. 18 წ. (8 ს. 16 წ.).

ყარსს:—1) საფოსტო № 70/71 საღამოს 10 ს. 29 წ. (11 ს. 27 წ.); 2) სამგზავრო და საქონლისა № 74/75 დილის 11 ს. 30 წ. (12 ს. 28 წ.).

მიხაილოვისა და ბორჯომს:—სამგზავრო № 7 ნაშუადღევის 1 ს. 52 წ. (2 ს. 50 წ.).

ბ) ბათუმიდგან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ:—1) საფოსტო № 4 საღამოს 9 ს. 54 წ. (10 ს. 52 წ.); 2) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 50 წ. (8 ს. 48 წ.).

ზორაპნამდე:—საღამოს 11 ს. 23 წ. (12 ს. 21 წამ.).

გ) ბაქოდგან გამოდის:

ტფილის ბათუმისაკენ: —1) საფოსტო № 3 საღამოს 11 ს. 45 წ. (12 ს. 43 წ.); 2) სამგზავრო № 5 ნაშუადღევის 2 ს. 42 წ. (3 ს. 40 წ.); 3) სწრაფი № 19 (მარტო ტფილისამდე) პარასკევობით, პირდაპირ მოსკოვიდგან მოსული)—დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.).

დ) ქუთაისიდგან გამოდის:

ბაქო ტფილისისაკენ:—ღამის 1 ს. 30 წ. (2 ს. 38 წ.).

ბათუმისაკენ: 1) ღამის 1 ს. და 40 წ. (2 ს. 38 წ.);

ბათუმისაკენ: 1) ღამის 3 ს. და 10 წ. (4 ს. 8 წ.) 2) ნაშუადღევის 4 ს. 10 წ. (5 ს. 8 წ.) 3) საღ. 6 ს. 40 წ. (7 ს. 38 წ.).

ზორაპნისაკენ:—ღამის 3 ს. 10 წ. (4 ს. 8 წ.).

ე) ფოთიდგან გამოდის:

რიონ-ქუთაისამდე:—დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.).

სამტრედია-ბათუმამდე:—ნაშუადღევის 3 ს. 27 წ. (4 ს. 25 წ.).

სამტრედია-ბაქომდე:— საღამოს 10 ს. 49 წ. (11 ს. 47 წ.). და საღამოს 11 ს. 30 წ. (12 ს. 28 წ,).

განცხადება

ცეცხლისაგან დაზარალებულ ცხინვალელთა სასარგებლოდ შემოწირულების შემკრები კომიტეტი აცხადებს:

რადგანაც კომიტეტს არ შეუძლია დააკმაყოფილოს დაზარალებულნი, რომელთა გაჭირვება ზამთრის დადგომის გამო დღითი-დღე ძლიერდება, აზრადა აქვს 19 იანვარს 1903 წელს გაჰმართოს ტფილისში საქველმოქმედო **ამერიკული ბაზარი საკონცერტო განყოფილებით.**

ვისაც ჰსურს ფულად ან ნივთებით დახმარება, კეთილ ინებონ და შეწირულებანი გაჰგზავნონ ამ ადრესით:

საღამოს გამმართველს კნ. მ. მ. თუმანოვისას (ბარიათინსკის ქუჩა, № 8), კომიტეტის წევრს ა. შტრეიხმს (გოლოვ. პროსპ. დობრჟანსკის სახ.) „ნოვოე ობოზ."-ს რედაქციას (ბარიანთინსკი ქ.) და «ტფილ. ლისტ.»-ს რედაქც. (გოლ. პროს. № 3).

(3—მ.—1)

ДЕНИСОВСКІЙ

მოითხოვეთ ყველგან ნამდვილი „ოდოლრინი" მ. ვ. ლეჟავასა
„ოდოგრინი" მ. ვ. ლეჟავასა.

ეს წამალი სრულიად აქრობს რამდენსამე დღეში ძველს ბებერას და მეტ-ხორცს ძირიან-ფესვიანად. მხოლოდ ეტიკეტი უნდა ჰქონდეს, მთავრობისაგან დამტკიცებული № 22473.

იყიდება ტფილისში—სააფთიაქო საქონლის კავკასიის სავაჭრო ამხანაგობასა და მის განყოფილებებში ბაქოსა და ბათუმში.

(33—6.—33)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 2 декабря 1902 г. Типографія «Гутенбергъ» (кн. Гр. Н. Діасамидзе.) Дворцовая, д. Груз. Дворянства. რედაქტორ-გამომცემელი ა. ი. ხარაჯიშვილი.